# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 იანვარი 2007 №14 (2937) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვალდას ივანაუსკასს ყველაზე შოტლანდიელი ქართველის იმედი აქვს

## გოგიტა გოგუას ჯერ ჩინოვნიკები სინჯავენ



## ბოლნისის სიონი მოსკოვიდან გულ და კაცნაკლული მოდის



## ლეანდროც ჩამევიდა

ზესტაფონში ორჯერ ორი ოთხი ბრაზილიელია



## ინგლისური რაგბის ვარსკვლავი საქართველოში თხილამურებით მოდის

გია ლაბაძე ტულონში დისიდენტია, ფრანგებს ღვინოზე ეკამათება. დენ ლუგერს კი ეს თემა არ აღელვებს: გაუმარჯოს ლუდს!

ბაჩო სვანიძის ინტერვიუ დენ ლუგერთან იხილეთ მეთერთმეტე გვერდზე

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა შოტლანდიაშია და გუშინ თავის ახალ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა. მართალია, ჩვენიანს „ჰართსთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ ეს უკვე ფორმალობაა, გოგუას „ჰართსში“ ოფიციალურ ჩარიცხვამდე საათებიღა დარჩა.
ფეხბურთელი და მწვრთნელი მოსკოვიდან ედინბურგში გუშინ გამთენიისას ჩაფრინდნენ და ნაშუადღევს მოედანზე სავარჯიშოდაც ერთად გავიდნენ.
რას ფიქრობს „ჰართსის“ ლიტველი მწვრთნელი ქართველ ფეხბურთელზე, როდის გაფორმდება კონტრაქტი და აპირებს თუ არა ივანაუსკასი „ჰართსში“ სხვა ქართველის მიწვევას, მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.
გოგუა რომ სავარჯიშოდ ემზადებოდა,
ვალდას ივანაუსკასს სწორედ მაშინ შევეხმიანეთ...



# გოგუა ჰართსში: კაკალ გულში

— გოგუამ „ჰართსთან“ კონტრაქტი უკვე გააფორმა?

— ჯერ არა, მოსკოვიდან დღეს ჩამოვფრინდით და ახლა კონტრაქტისთვის საჭირო საბუთებს ვამზადებთ. ყველაფერი გადაწყვეტილია, კონტრაქტი დღეს-ხვალ გაფორმდება. გოგიტა გოგუა გუნდს უკვე გავაცანი და ის ახლა პირველი ვარჯიშისთვის ემზადება.

— კონტრაქტის პირობები როგორი იქნება?

— გოგუა „ჰართსში“ ზაფხულამდე დარჩება, შემდეგ კი მოლაპარაკებას თავიდან დავიწყებთ. ამ ეტაპზე ასე აჯობებს, ვნახოთ, როგორ შეეწყობა იგი შოტლანდიურ ლიგას, რას იტყვიან მისი აგენტები... მოკლედ, ზაფხულამდე დრო გვაქვს და დანარჩენზე მერე დავილაპარაკებთ.

— გოგუას ტრანსფერი დიდი პრობლემების მოგვარების შემდეგ მოხერხდა. ქართველ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაგრძელება თუ ისურვეთ, ისევ ასეთი პრობლემების დაძლევა მოგიწევთ?

— არ ვიცი, სეზონის შემდეგ რა იქნება... გოგუას საქმე მართლაც ძნელად მოგვარდა. ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო და შეიძლებოდა, ჩვენთან ვერ გადმოსულიყო, მაგრამ ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. როგორც გითხარით, ახლა ყველა საკითხი მოგვარებულია და დღეს-ხვალ კონტრაქტი გაფორმდება.

— გოგუამ სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა?

— არა, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალობაა, გოგუა სრულიად ჯანმრთელია. ხოლო როგორ ფორმაშია, ჯერ ვერ გეტყვით. ივარჯიშებს და ვნახოთ...

— როგორც ამბობთ, კონტრაქტი ამ კვირაში გაფორმდება. ითამაშებს ქართველი ფეხბურთელი უახლოეს ტურში?

— ეს რომ ახლა გითხრათ, ისე გამოვა, რომ მთელი შემადგენლობა უკვე მოფიქრებული მაქვს. ვინ ითამაშებს „რეინჯერსთან“, მატჩის წინა საღამოს გაირკვევა. გოგუას კი, როგორც „ჰართსის“ ყველა ფეხბურთელს, თამაშის შანსი აქვს. თუმცა ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ გოგუა ასეთ პრინციპულ მატჩში სათამაშოდ მზადაა.

— ახალწვეულს ზოგადად როგორ დაახასიათებდით?

— გონიერი და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელია. მას ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშოს. გოგუას ერთი წელი ვაკვირდებოდი, ვნახე საქართველოს ნაკრებში და რუსეთის ჩემპიონატში ჩატარებული მისი მატჩები, ვესაუბრე მის მწვრთნელებს და დავრწმუნდი — ის სწორედ ისეთი ფეხბურთელია, როგორიც დღეს „ჰართსს“ სჭირდება. ვიმედოვნებ, გოგუა შოტლანდიის ჩემპიონატში თავის შესაძლებლობებს უფრო უკეთ წარმოაჩენს.

— მოკლედ, გოგუა უკვე თქვენი ფეხბურთელია. სხვა ქართველის მიწვევაზეც ხომ არ ფიქრობთ?

— ძალიან კარგად ვიცი ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები და სიამოვნებით შევთავაზებდი მათ „ჰართსში“ თამაშს, მაგრამ ბრიტანული კანონები არ გვცემს ამის საშუალებას. ბრიტანეთში მოთამაშე ლეგიონერს ეროვნულ გუნდში გარკვეული რაოდენობის მატჩები უნდა ჰქონდეს ჩატარებული, აქ მუშაობის უფლება რომ მიიღოს. ევროპაში კი ტრანსფერები 31 იანვარს იხურება და სხვა ფეხბურთელების, მათ შორის, ქართველების დამატებას „ჰართსი“ ველარ მოასწრებს.

— ერთიც „ჰართსის“ საამსეზონო მიზანზე: ჩემპიონობას ალბათ ველარ შეწვდებით, მაგრამ მეორე ადგილზე გასვლისა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ამ კითხვაზე „რეინჯერსთან“ მატჩის შემდეგ უკეთ გიპასუხებთ. მეორე ადგილზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს, მთავარია, ბოლომდე ვიბრძოლოთ და ქულები უაზროდ არ დავკარგოთ.

**ქოჩა ინასარიძე**

# ბოლნისმა მოიმოსკოვა
## ვინ ვის დაადგა თვალი?

**საქართველოს** ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირს დაემშვიდობა.

ბოლნისელებმა მესამე ტურში სერბეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან ოფკ-ს მოსკოვის „ოლიმპიისკის“ დარბაზში 2:1 კი მოუგეს, მაგრამ მეოთხედფინალში გასაღწევად ეს ანგარიში საკმარისი არ იყო. საკმარისი 2:0 იქნებოდა და ბოლნისელები ასეც იგებდნენ, მაგრამ... ქართულ ფეხბურთში მეკარის პრობლემა რომ არის, ერთხელ და ორჯერ არ თქმულა და ახლაც, როგორც მოსკოვში მყოფი ქართველობა ამბობს, „სიონის“ მეკარეს დაახლოებით 40 მეტრიდან დარტყმული, ხალიჩაზე გაგორებული ბურთი ვერ მოუხელთებია. დამრტყმელი კოლაროვი იყო, წუთი კი 88-ე.

არადა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე „სიონი“ გიორგი ონიანმა დააწინაურა, ხოლო 61-ე წუთზე ვიტალი დარასელიამ ანგარიშში სხვაო[illegible] დეგ მატჩი ისე გაგრძელებულა, კაცი „სიონისთვის“ცუდს ვერ იფიქრებდა, ამ დროს კი კურიოზული შეცდომა და...

„სიონმა“ უკან წამოსასვლელი ბილეთები კი აიღო, თუმცა ორით ნაკლები, ვიდრე მოსკოვში წასვლამდე. როგორც შევიტყვეთ, დაინტერესებულ კლუბებთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში დარჩნენ ლევან სილაგაძე და ვიტალი დარასელია. შესაძლოა, მათ კარიერა რუსეთში გააგრძელონ. სკაუტთა თვალს არც ჯონდ რომეო ჩასემი და არჩილ ალავიძე გამორჩენიათ...

მოკლედ, საქართველოს ჩემპიონმა მეოთხედფინალში გამსვლელი ორი ადგილი სერბულ ოფკ-ს და ლიტვურ „კაუნასს“ დაუთმო.

ამასობაში კი მეოთხედფინალში „კაუნასის“ გარდა ქართველების ორი გუნდი გავიდა — მოლდოვური „შერიფი“ და აზერბაიჯანული „ბაკი“.

### A ჯგუფი

23 იანვარი

**ცსკა (რუსეთი) 3:2 რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი)**

0:1 აბდულოვი (8), 1:1 გრიჩენკოვი (28), 2:1 პრავოსუდი (31), 2:2 რახიმოვი (82), 3:2 კოჩუბეი (90)

**ბატე (ბელარუსი) 2:0 აქტობე (ყაზახეთი)**

1:0, 2:0 როდიონოვი (80, 83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ბატე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| აქტობე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| რეგარ-ტადაზი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### B ჯგუფი

23 იანვარი

**ბაკი (აზერბაიჯანი) 1:0 ლევადია (ესტონეთი)**

1:0 მუჯირი (52)

ბაკი: სისოკო, ლადაგა, ამირბეკოვი, ვ. გულიევი, რ. გულიევი, მუსაევი, ა. მუჯირი (აბდულაევი 73), გოგობერიშვილი, აბასოვი (ჰუსეინოვი 46), იონესკუ (იოვანდიჩი 66), გომეში (ფ. გულიევი 77)

**შერიფი (მოლდოვა) 3:0 დორდოი-დინამო (ყირგიზეთი)**

1:0 სუვოროვი (12), 2:0 ალექსეევი (26), 3:0 სუვოროვი (40)

შერიფი: პაშჩენკო, მამახი (ულესი 46), თარხნიშვილი (ეპურიანუ 46), ბონდარჩუკი, სუვოროვი (ტიაგო 61), დერმე, ბალიმა (გუმენიუკი 51), რუდაკი, ტასემბედო (კორნეენკოვი 61), ალექსეევი (კუჩუკი 61), ნადსონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შერიფი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:5 | 9 |
| ბაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ლევადია | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| დორდოი-დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

### C ჯგუფი

23 იანვარი

**ფახთაქორი (უზბეკეთი) 4:0 შახტარი (უკრაინა)**

1:0 კოშელევი (14), 2:0 ჯეფაროვი (56), 3:0 კაპაძე (70), 4:0 კლიკუნოვი (77)

**ვენტსპილსი (ლატვია) 2:2 ბანანცი (სომხეთი)**

1:0 სოლეიჩუკსი (4), 2:0 ნდეკი (16), 2:1 აკოფიანი (56), 2:2 სეპუია (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფახთაქორი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| ვენტსპილსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ბანანცი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| შახტარი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | 2 |

### D ჯგუფი

23 იანვარი

**ოფკ (სერბეთი) 1:2 სიონი (საქართველო)**

0:1 ონიანი (46), 0:2 დარასელია (61), 1:2 კოლაროვი (88)

სიონი: მამალაძე, კობაური, გ. ონიანი, სილაგაძე, კახელიშვილი, ქებაძე (აფციაური 46), ფრიდოლინი, სეთურიძე, ა. ალავიძე, დარასელია (ლ. ჭელიძე 83), ჩასემი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ნუჰი (16), პეტროვიჩი (29), ტოდოროვიჩი (64), ფრიდოლინი (72), კობაური (73), ილიჩი (75), ნოვაკოვიჩი (85)

გაძევება: პეტროვიჩი (65), ტოდოროვიჩი (70), კობაური (87)

მსაჯები: ა. გვარდისი, ი. კოტკოვსკი, ლ. კოიდა (სამივე რუსეთი)

1 500 მაყურებელი

**კაუნასი (ლიტვა) 4:0 მტტუ (თურქმენეთი)**

1:0 გლები (41), 2:0 სტრახანოვიჩი (42), 3:0 პეხლიჩი (44), 4:0 კშანავიჩიუსი (89)

კაუნასი: მალინაუსკასი, მენდი, კანჩელსკისი (ხუბუტია 82), ბაგუჟისი, კუნევიჩიუსი, გ. კვარაცხელია (რაჯუსი 46), სტრახანოვიჩი (პილიბაიტისი 46), პეხლიჩი (ფატახოვი 60), ივაშკევიჩიუსი, ლედესმა (კშანავიჩიუსი 63), ვ. გლები (გრიგალევიჩიუსი 46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოფკ | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| კაუნასი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| მტტუ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### მეოთხედფინალი

კაუნასი — ვენტსპილსი

შერიფი — ბატე

ფახთაქორი — ოფკ

ცსკა — ბაკი

## ინგლისი

**კონფერენსლიგა**
**XXIX ტური**

ძროული 1:1 გრეივსენდი
ექსეტერი 4:0 ვეიმუთი
ფორესტ გრინი 3:0 ალდერშოტი
გრეისი 0:1 დაგენემი
ჰალიფაქსი 1:1 იორკი
კიდერმინსტერი 2:0 სტაფორდი
მორეკემბი 0:0 სოთპორტი
რაშდენი 3:1 კემბრიჯი
სტივენეიჯი 1:2 სენტ ალბანსი
უოკინგი 1:0 ოქსფორდი

ბარტონი — ტემფორთი გადაიდო
ნორსვიჩი — ალტრინჩემი გადაიდო

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

უოტფორდი 2:1 ბლექბერნი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩი**

ბარნლი 0:1 სტოკი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

სუონსი 2:0 ჯილინგემი
ნორთჰემპტონი 3:0 მილუოლი

**ასოციაციის თასი**
**მესამე ეტაპი**
**გადათამაშება**

ლუტონი 1:0 ქუინზ პარკი

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ჩელსი 4:0 უიკომბი (1:1)

**LDV VANS TROPHY**
**მეოთხედფინალი**

ბრისტოლი 2:0 ბრაიტონი
შრიუსბერი — როვერსი გადაიდო

## ჰოლანდია

**თასის**
**მერვედფინალი**

ტილბურგი 4:2 გრააფსხაპი
ალკმაარი 5:0 მაასტრიხტი

## ამხანაგური მატჩები

საამიროები 3:2 ქუვეითი
იემენი 1:2 ომანი
აშშ 3:1 დანია
ეკვადორი 1:1 შვედეთი



სარბიელელ
დავით თავართქილაძეს
და მირანდა ხაჩიძეს
ვულოცავთ ქალიშვილის
ელისაბედის
დაბადებას.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს!
*სარბიელელები*



ბუჩაკა ფოლადაშვილის ფოტო

„ზესტაფონი" — „შახდაგი" ძიძგილაობაც არ აკლდა

# ზესტაფონმა კარისკენ და მეტოქისკენ გაიწია

## ახალი ბრაზილია იმერეთში: გუშინ ლეანდრო და ტორესი ჩამოვიდნენ

**გუშინ** „ზესტაფონმა" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და ამით დაასრულა სამეორეწრეო მზადების მეორე ეტაპი. იმერული კლუბის მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონატის აუტსაიდერი, გუსარის „შახდაგი" იყო, რომელიც შეკრებას საქართველოში გადის.

მატჩი დიღომში, „ლოკომოტივის" საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა და 1:1 დასრულდა.

თვალსაჩინო უპირატესობის მიუხედავად თავიდან „ზესტაფონმა" გოლის გატანა ვერ მოახერხა — ერთბაშად რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გააცუდა და დაისაჯა კიდეც. აზერბაიჯანელებმა მე-12 წუთზე გაიხარეს.

ეს იყო და, იმერლებმა კვლავაც შეუტიეს და ათიოდ წუთში ანგარიში გაათანაბრეს — ედიკ საჯაიამ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი — 1:1.

მომენტები მერეც შეიქმნა, მაგრამ ხან ფეხბურთელები ვერ ისწორებდნენ მიზანს, ხანაც მეკარემ იყოჩაღა...

„ზესტაფონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჯალალონია, გ. თურმანიძე, ს. თოდუა, საჯაია, კ. ჩხეტიანი, რ. ონიანი (ხუმარაშვილი 69), გ. ჭელიძე, პარამონოვი, გორგიაშვილი (ძარია 46), ვიეირა, იონანიძე.*

როგორც უკვე გითხარით, ამ მატჩით „ზესტაფონმა" მეორე ეტაპი დაასრულა. მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გუნდს ორდღიანი დასვენება მისცა, 26 იანვარს კი ახალი შეკრების ჯერია — ფეროელები ანთალიაში მიემგზავრებიან.

და ერთი სიახლეც: „ზესტაფონში" კიდევ ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩამოვიდა. 25 წლის თავდამსხმელი ლეანდრო ტემპორინ როჩა და 22 წლის ნახევარმცველი ჯონატას დე ოლივეირა ტორესი. ლეანდროც და ტორესიც ბოლოს ბრაზილიურ „რიო ბრანკოში" თამაშობდნენ, თუმცა პირველზე უფრო ვრცელი ინფორმაცია შევაგროვდა — ის ბრაზილიურ „პაისანდუსა" და „ჟუვენტუდში", ასევე ბელგიურ „ანდერლეხტსა" და ფრანგულ „მეცში" ირიცხებოდა.

ლეანდროც და ტორესიც გუნდს ანთალიურ შეკრებაზე გაჰყვებიან და მათი საკითხიც იქ გადაწყდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კახა ჩხეტიანის ერთი წელი წასვლას ნიშნავს

„ზესტაფონის" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ჩხეტიანმა კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან.
არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ჩხეტიანს კარიერა უკრაინაში უნდა გაეგრძელებინა. 28 წლის ნახევარმცველისთვის უცხოეთში თამაში უცხო სულაც არ არის — თავის დროზე უნგრულ „დებრეცენში", „პეჩში" და უკრაინულ „ტავრიაში" თამაშობდა...



ბუჩაკა ფოლადაშვილის ფოტო

— თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ახალი წლიდან კრივოი როგის „კრივბასში" გადავიდოდი. ყველა დეტალი მოგვარებული იყო, მაგრამ „კრივბასის" მწვრთნელი რომ მოხსნეს, ეს ტრანსფერი აღარ შედგა. „ზესტაფონმაც" კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა და მეც დავთანხმდი.

**— შენმა თანაგუნდელებმა სამ-სამი წლით გაახანგრძლივეს კონტრაქტები, შენ — ერთით. ანუ ისევ ფიქრობ უცხოეთში წასვლაზე?**

— რა თქმა უნდა, თუ კარგი გუნდი და პირობები იქნა, წავალ. სამი წლის შემდეგ კი 31 წლის ვიქნები და ასეთ ასაკში უცხოეთში წასვლა და თამაში გამიჭირდება. ეს ერთი წელი „ზესტაფონში" დავრჩები და ვეცდები, გუნდთან ერთად მაქსიმუმს მივაღწიო.

**— ანუ?**

— ქუთაისის „ტორპედოსთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი უკვე ვიყავი, ახლა „ზესტაფონის" ჯერია.

**— კონკურენტებად რომელ გუნდებს მიიჩნევ?**

— ცხრილში ისეთი სიტუაციაა, ჩემპიონობის შანსი ხუთ გუნდს აქვს, თუმცა, კონკურენტები „ოლიმპი", „ამერი" და ალბათ „დინამო" იქნებიან.

**— პირველ წრეში „ზესტაფონმა" მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასთან" წააგო, თუმცა ეს გუნდი ფავორიტებში არ დაგისახელებია...**

— „ვიტ ჯორჯია" კარგი გუნდია, შანსი მასაც აქვს, მაგრამ დავით დიღმელაშვილის წასვლით სერიოზული ძალა მოაკლდა. პირველ წრეში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება „ოლიმპმა" და „ამერმა" დატოვეს. „დინამოს" კი იმიტომ მივიჩნევ კონკურენტად, რომ კარგი მწვრთნელი ჰყავს, ის დიღმელაშვილიც გადაიყვანა და კიდევ აპირებენ გაძლიერებას... ვნახოთ, ყველაფერი მალე გამოჩნდება.

**— პირველ წრეში მხოლოდ სამი ბურთი გაუშვით და ისიც ერთ თამაშში. ჩანს, „ზესტაფონის" ყველაზე ძლიერი რგოლი დაცვაა...**

— ჩვენი დაცვა თავდასხმით იწყება — მეტოქეს ისე უნდა ეთამაშო, რომ შეტევისთვის ვერ მოიცალოს. ვფიქრობ, „ზესტაფონის" ყველა რგოლი თანაბრად დაბალანსებულია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დილამ გასატანი ზაქათალას გაატანა

**დილა 0:3 სიმურგი**

**0:1 ამაროვი (21), 0:2 სელეზნიოვი (85პ), 0:3 აბდურახმანოვი (89)**

**დილა: კეჩხუაშვილი (სოლოლაშვილი 46), ი. კობახიძე, გ. ჩიტაია, ლომაშვილი, დ. ხანიშვილი (თაყაძე 80), აბრამიშვილი (სადალაშვილი 63), ტლაშაძე (ბალიაშვილი 46), კ. ხანიშვილი, კურტანიძე (ვარდოსანიძე 70), ტორონჯაძე (სამადაშვილი 57; თოფურია 78), ბ. ჩიტაია (გ. წინამძღვრიშვილი 57; ლომიძე 84)**



ბუჩაკა ფოლადაშვილის ფოტო

**ზაქათალა** ერთი პატარა ქალაქია, კახეთს რომ გასცდები, ხელის გაწვდენაზეა — ქალაქსაც ვერ დაარქმევ...

ზაქათალის „სიმურგი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა, ანუ, ასე თუ ისე, ეომება „ბაკის", „ნეფთჩის", „ხაზარს" და სხვა ლიდერებს. გასაკვირიც არაა, რომ აზერბაიჯანელთა მეექვსეადგილოსანმა საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინაადგილოსანს მოუგოს.

„სიმურგის" ცენტრალურ მცველ სერგეი სტაროსტიაკს თავის დროზე უკრაინის ნაკრებშიც უთამაშია... საერთოდ, ზაქათალელებს ლეგიონერები არ აკლიათ, ხოლო „დილა" ახლახან შეკრებილი, მეტწილად ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდია.

და მაინც, ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ და მომენტები გამოეყენებინათ, გორელებს ვინძლო არც წაეგოთ.

21-ე წუთზე „დილას" მეკარე კეჩხუაშვილი გამოსვლაზე შეცდა, მცველს შეეჯახა და „სიმურგის" ფორვარდმა ამაროვმა ცარიელ კარში შეაგორა ბურთი — 0:1. რამდენიმე წუთში იმავე ამაროვმა ხარიხა შეაზანზარა, გორელთაგან კი კურტანიძეს უნდა გაეტანა, მაგრამ პირდაპირ ცენტრში დაურტყა მეკარეს.

მაინც რა გუნდია „დილა"? მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ გუშინ 20 ფეხბურთელი ათამაშა, მათ შორის, ვეტერანი მეკარე რამაზ სოლოლაშვილიც. როგორც გვითხრეს, იგი დროებით დგას „დილას" კარში, რადგან გორელთა მთავარ მეკარე, ახლად შეძენილი რევაზ ოევდორაძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს თურქულ შეკრებაზე. სავარაუდოდ, სოლოლაშვილი „დილას" მეკარეთა მწვრთნელად იმუშავებს, ხოლო ბოლო წლებში ქართლელთა მთავარმა გოლკიპერმა თამაზ ილურიძემ კლუბის დირექტორატში გადაინაცვლა.

„დილას" გუშინდელი შემადგენლობიდან ქომაგებისთვის ნაცნობნი არიან კობა და დავით ხანიშვილები, ბექა და გაგა ჩიტაიები, ხოლო დანარჩენები გამოუცდელ-უწვერული ბიჭები არიან, თუმცა „სიმურგთან" მატჩში სულ სხვა ფეხბურთელი გამოირჩეოდა — თბილისის „დინამო 2"-დან გადაყვანილმა ლომაშვილმა პირველ ტაიმში ცენტრალურ მცველად, შესვენების შემდეგ კი საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, ჩაშლაშიც ივარგა და შეტევებსაც მეტწილად ის იწყებდა.

სხვა მხრივ, მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. გორელებმა „სიმურგის" კარისკენ გაიწიეს და სამი მომენტიც გამოჩარხეს, თუმცა აზერბაიჯანელთა მეკარე ყინჩად იდგა: ჯერ ბექა ჩიტაიას, მერე კობა ხანიშვილს აულო რთული ბურთები, 79-ე წუთზე კი პენალტიც მოიგერია — ისევ კობა ხანიშვილი გაამწარა.

ბოლოსკენ „დილა" დაიღალა, ირაკლი კობახიძემ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და ამჯერად „სიმურგმა" პენალტით იხეირა, მერე კი აბდურახმანოვმა ხანგრძლივი შეტევა დაასრულა ზუსტი დარტყმით.

ეს მატჩი „ლოკომოტივის" დიღმის ბაზაზე გაიმართა და 26 იანვარს იქვე შედგება „სიმურგისა" და რუსთავის „ოლიმპის" შეხვედრაც.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთამ ჩაშალა, ბექამ ააწყო

## გერმანული დებიუტი ქართული გოლით




**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგის ერცგებირგეს აუე-ში ორი ქართველი ფეხბურთელი, 20 წლის თბილისის დინამოელი შოთა გრიგალაშვილი და 18 წლის ზესტაფონელი ბექა გოცირიძე რომ ისინჯება, გუშინაც ვწერდით.

აუე ლიდერთა შორისაა და ბუნდესლიგაში აღზევების შანსი აქვს — გუნდის ერთ-ერთი ლიდერი კი საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძეა.

გუშინ ერცგებირგელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს ქვედალიგელ „დრეზდენთან" და 5:0 იმარჯვეს. მწვრთნელმა გრიგალაშვილი და გოცირიძე მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე და ბექამ გოლის გატანაც მოახერხა.

თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე კი გერმანიაში *შოთა გრიგალაშვილს* დავუკავშირდით...

„გუნდთან ერთად ვვარჯიშობთ. ეტყობა, რომ აუე ძალიან ძლიერი გუნდია და შემთხვევით არ არის ლიდერთა შორის. ვარჯიშები წმინდა გერმანულია, მე ამის მცირე გამოცდილება ნაკრებში გამოძახების დროს მქონდა და შემზადებულიც ვიყავი. ბექამაც აული ალლო აქაურობას და არ გვიჭირს. მწვრთნელები ჯერჯერობით არაფერს გვეუბნებიან, ალბათ თამაშებშიც გამოგვცდიან. ალბათ კიდევ ერთი კვირა დავრჩებით აქ. გუნდში კარგად მიგვიღეს, დათოს კარგი ავტორიტეტი აქვს და თბილად გვექცევიან. ვნახოთ, ყველაფერი მალე უნდა გადაწყდეს" — გვითხრა გრიგალაშვილმა.

თამაშის შემდეგ კი *დავით სირაძეს* შევეხმიანეთ...

„ბიჭები ცოტას ნერვიულობდნენ და ეს ბუნებრივიცაა, მაინც პირველი თამაშია და მათზე იყო დამოკიდებული, როგორ შეასრულებდნენ დავალებას. მწვრთნელმა ორივე მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე და უნდა ითქვას, ურიგოდ არ უთამაშიათ. შოთამ მეტოქის შეტევების ჩაშლაზე კარგად იმუშავა, ბექამ კი გოლიც შეაგდო და თამაშსაც ამწვავებდა. ვფიქრობ, გერდ შედლიხი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო".

როგორც ითქვა, გრიგალაშვილს და გოცირიძეს ალექსი ბენაშვილიც უნდა შეერთებოდათ, მაგრამ „ზესტაფონის" ნახევარმცველი ერცგებირგეში ჯერ არ ჩასულა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



მათე ღვინიანიძემ (№19) სეზონი უიღბლოდ განაახლა

# მათეს ერთი კვირა: ფიზიო და თერაპია

**„ფიურტთან"** მატჩში დაშავებულ მათე ღვინიანიძეს ექიმებმა ერთკვირიანი მკურნალობა დაუნიშნეს — „მიუნხენის" ქართველი მცველი ინტენსიურ ფიზიოთერაპიულ კურსს გაივლის და ამის შემდეგ კიდევ ერთ გამოკვლევას ჩაუტარებენ.

შეგახსენებთ, რომ მეორე ბუნდესლიგის პირველივე ტურში ღვინიანიძე უხერხულად შეეჯახა მეტოქეს და ორივე ფეხი დაიზიანა. ნამატჩევს მათეს რომ ვესაუბრეთ, გახარებულმა გვითხრა, საშიში არაფერიაო...

მძიმე ტრავმას 20 წლის ქართველი მართლა გადაურჩა — თავიდან გერმანელები შიშობდნენ, მათეს წვივი და მენისკი სერიოზულად დაუზიანდაო, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ეს არ დადასტურდა.

გერმანული „კიკერის" ცნობით, ჯერაც გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა ღვინიანიძე კვირას, „ოფენბახთან" მატჩში.

**კახა შალამბერიძე**

# ვასილ გიგიაძე 2006 წლის კომანდაში

**უკრაინის** ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი ვასილ გიგიაძე 2006 წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. გამოკითხვა უკრაინულმა „კომანდამ" ჩაატარა.

კრივოი როგის „კრივბასის" ქართველ კაპიტანს საუკეთესო ფეხბურთელობის შანსიც ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა.

ახლა „კრივბასი" თურქეთში ემზადება და ამხანაგურ მატჩებსაც არ იკლებს, მაგრამ ბოლო სამ ტესტ-მატჩში გიგიაძემ ტრავმის გამიზეზების გამო ითამაშა. ექიმების თქმით, ვასო რამდენიმე დღეში შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

**კახა შალამბერიძე**

# იაშვილის პასით გაჭრილი როსტოკი

## გერმანელებმა ხიზანეიშვილიც გამოარჩიეს

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგი" ლიდერების რისხვად ითვლება, თუმცა სუსტებთან ვერას აწყობს და გასავარდნ ზონასთან ახლოსაა.

გუშინწინ „ფრაიბურგმა" კიდევ ერთი სენსაცია მოახდინა — მეორეადგილოსან როსტოკის „ჰანზას" სტუმრად სეზონის პირველი მარცხი აგემა.

გერმანული ვებგვერდების ცნობით, ალექსანდრე იაშვილი ძალიან აქტიური იყო და ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ იღბალმა უმტყუნა, თუმცა ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი სწორედ იაშვილის პასით გავიდა — ქართველმა შემტევმა კულიბალს გაატანინა.

გერმანელები მეორე ქართველს, ოთარ ხიზანეიშვილსაც გამოარჩევენ — შეცვლაზე შევიდა და დაცვა გააძლიერაო.


GFF TRAVEL

24 მარტი
შოტლანდია-საქართველო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მასთან არსებული ტურისტული კომპანია "GFF TRAVEL"-ი გაძლევთ შანსს, უგულშემატკივროთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს...
... და გთავაზობთ ოთხდღიან დაუვიწყარ მოგზაურობას შოტლანდიაში. ყველა გულშემატკივარს ფეხბურთის ფედერაცია ასაჩუქრებს მატჩზე დასასწრები ბილეთით.

იჩქარეთ!!! ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება 15 თებერვლამდე. ჩვენს ბიჭებს თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ!
ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: +995-32-917014; +995-32-917015; +995-77-900902.
მის: ჭავჭავაძის 76.

აქციის მხარდამჭერები არიან
24 საათი
ოლიმპი
სარბიელი


# მუჯირმა მწვრთნელებს ჰეთ თრიქი გაუტანა

**სამარის** „კრილია სოვეტოვის" მთავარი მწვრთნელი სერგეი ობორინი ქართველ ლეგიონერ დავით მუჯირს ჯერ საკონტროლო შეხვედრებში არ ათამაშებს. მიზეზი მარტივია — მწვრთნელი ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელის სრულად დატვირთვას ერიდება.

ისე, ობორინმა მუჯირის კლასი თავის თავზე კი გამოსცადა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ ხუთკაციან მწვრთნელთა გუნდი იმ ფეხბურთელებს გაეჯიბრა, რომლებსაც ტესტ-მატჩებში ვერ ათამაშებს. ესენი არიან: მეკარე ალექსანდრ მაკაროვი, ანდრეი გუსინი და დავით მუჯირი, რომლებმაც სამარელთა თარჯიმანიც დაიმატეს და მწვრთნელებს ორი 25-წუთიანი ტაიმი ეთამაშნენ.

მატჩი მწვრთნელთა გამარჯვებით დასრულდა — 5:3. ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ დამარცხებულთაგან სამი, თანაც სამივე ულამაზესი გოლი მუჟუმ გაიტანა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დემიანენკომ მარცვალაძე სინანულით გაიხსენა

**კიევის** „დინამოს" თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ დანანებით თქვა, რომ სხვათა გარდა მის გუნდს ოთარ მარცვალაძეც ვერ ეხმარება...

— არაბულ შეკრებაზე გამართულ ამხანაგურ მატჩებში თავს ექსპერიმენტების ჩატარების უფლება მივეცი, რადგან, სამწუხაროდ, ტრავმების გამო რინკონი, საბლიჩი, მარცვალაძე, ჩერნატი და რომანჩუკი გვაკლია, რაც საკმაო ძალაა ჩვენთვის — განუცხადა ანატოლი დემიანენკომ „გაზეტა პო უკრაინსკის".

მარცვალაძე პირველი წრის ბოლოს დაშავდა და ვარჯიში ნაახალწლევს განაახლა, თუმცა დატვირთვების მიღება ჯერაც ეკრძალება. ოთარი ახლა კიევშია და ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. მასთან ერთადაა დავით იმედაშვილიც, ვინც დემიანენკომ მეორე, ისრაელურ შეკრებაზე აღარ წაიყვანა.

**კახა შალამბერიძე**

# აბრამოვიჩმა ჭირს და ლხინს წიხლი ჰკრა



აქამდე რომან აბრამოვიჩს წესად ჰქონია, რომ ყოველი თამაშის შემდეგ გასახდელში ჩადიოდა და გუნდს ჰმადლობდა.

ეს ტრადიცია „რედ რომს" პირველად „უიგანთან" შინ 4:0-ზე მოგებული თამაშის შემდეგ დაურღვევია, მეორედ კი — შაბათს, „ენფილდზე" წაგების შემდეგ.

ამან კლუბს გუნება წაუხდინა და გაანაწყენა კიდეც.

ამიტომ, ისინი პატრონთან შეხვედრას აპირებენ. აბრამოვიჩი მხოლოდ წუხელ დაბრუნდა ისრაელიდან.

აბრამოვიჩი ყოველთვის ცდილობდა, რომ კლუბის თანამშრომლებთან ახლოს ყოფილიყო, ახლა კი მათ უნდობლობა შეეპარათ. გაზეთმა „სანმა" სწორედ „ჩელსის" შინაკაცებისგან შეიტყო, რომ აბრამოვიჩს ძალიან მოსწონდა, როცა მას კლუბში ჩვეულებრივ კაცად, რიგით ჩელსელად თვლიდნენ. ის ჭირსა და ლხინს ინაწილებდა კლუბში, ახლა კი ერთი კვირაა არ გამოჩენილა.

მისი შინაურული ქცევა გუნდის სულს ძალიან ეხმარებოდა. ახლა კი საქმეები გაჭირდა და ის გაუჩინარდა.

კლუბიდანვე ცნობილია, რომ ფეხბურთელები ჟოზე მაურინიუს ძალიან აფასებენ.

კაპიტან ჯონ ტერის უთქვამს, რომ თუ საქმე გაჭირდა, სწორედ ის წარუძღვება ფეხბურთელებს და პატრონს ჟოზეს დატოვებას სთხოვს.

აბრამოვიჩი კი დუმს.

ისრაელში ის საქმეებზე იყო, მანამდე კი უქმეები უცნობ ადგილას გაატარა.

კლუბში ვითარება „ლივერპულთან" თამაშამდე კიდევ უფრო დაძაბულა, რახან მმართველებს უარი უთქვამთ ახალი ცენტრალური მცველის ყიდვაზე. მაურინიუს ამ პოზიციის მპყრობელი ტერი და ფერეირა დამტვრეულები ჰყავს.

ახლა ამბობენ, რომ პორტუგალიელი აბრამოვიჩს აღარ ელაპარაკება, პასუხისმგებელ შეფ პიტერ კინიონთან კი მხოლოდ იმეილითა და ესემესებით აქვს კავშირი.

**ირაკლი გამყრელიძე**



# გამოეთრიოს რობენი!
## მაკელელემ ბალაკი უარყო

ინგლისური „სანის" ცნობით, „ჩელსიში" არიენ რობენის დღეები დათვლილია. ჟოზე მაურინიუმ გუნდიდან მისი გაშვება „ლივერპულთან" 0:2 მარცხის შემდეგ გადაწყვიტა. პორტუგალიელი მწვრთნელი ჰოლანდიელის უგულო თამაშით ძალიან უკმაყოფილო იყო და მე-20 წუთზე შონ რაიტ-ფილიპსით შეცვალა. იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას, ალბათ ვეღარ, მაგრამ ზაფხულში რობენს გაყიდიან.

მაურინიუს ძალიან ეიმედებოდა ჰოლანდიელისა „ლივერპულთან" შეხვედრაში, მაგრამ ფეხბურთელმა, მწვრთნელის აზრით, ტრავმა მოიგონა და შეცვლა ითხოვა. პორტუგალიელმა სკამზე მჯდომ შონ რაიტ-ფილიპსს უხმო და უთხრა: „შონ, მიდი რა, მოემზადე, გამოეთრიოს ერთი ეგ რობენი."

შედეგად ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა წახდა. კითხვაზე, თუ რამდენი ხანი დასჭირდება ჰოლანდიელის გამოკეთებას, მაურინიუმ უპასუხა: „არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რობენი, როგორც წესი, როცა დაშავდება, დიდხანს მკურნალობს."

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველის ყიდვის სურვილი ამას წინათ მიუნხენის „ბაიერნმა" გამოთქვა.

„ბაიერნიდან" „ჩელსიში" გადასული მიხაელ ბალაკი კი, როგორც ამბობენ, კლოდ მაკელელემ და დიდიე დროგბამ აითვალწუნეს. ინგლისური მედიის ცნობით, მაკელელეს და დროგბას თითქოს მწვრთნელთან დაუჩივლიათ, გერმანელი სულ ტყუილად არის გუნდშიო. ფრანგმა ფეხბურთელმა „დეილი სტართან" საუბარში ეს ინფორმაცია უარყო: „ტყუილია — განაცხადა მაკელელემ — ყველამ, ვინც მე და დროგბას გვიცნობს, იცის, რომ არ ვართ ჭორიკანა ფეხბურთელები. ბალაკთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ჩვენ ერთიანი, კარგად შეკრული და მეგობრული გუნდი ვართ."

**ირაკლი ნინიძე**

# მიოლერი ტურინში სწავლობს და ვაჭრობს

ახლო წარსულში კარგად ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა ენდი მიოლერმა თავის ყოფილ კლუბ ტურინის „იუვენტუსს" ურჩია, მომავალი სეზონისთვის ახალი ფეხბურთელები ბუნდესლიგაში ეძებოს. აღსანიშნავია, რომ „ბებერმა ქალბატონმა" გერმანიაში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელს უკვე დაადგა თვალი. იგი მიროსლავ კლოზემ, კლაუდიო პიზარომ და კრისტოფ მეცელდერმა დააინტერესა.



„პიზარო ძალიან სასარგებლო და კარგი ფეხბურთელია, თანაც იგი ისეთი ძვირი არ არის, როგორც კლოზე, თუმც ვთვლი, რომ მას არაფრით ჩამოუვარდება. თანაც „ბაიერნთან" კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. ვინმემ რომ დამავალოს „იუვესთვის" ერთი ფორვარდის შერჩევა, თითს კლაუდიოს დავადებ" — თქვა მიოლერმა, რომელიც „იუვეში" 1992-94 წლებში თამაშობდა.

გერმანიის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს, როგორც ჩანს, მწვრთნელობა გადაუწყვეტია. იგი ახლა ტურინშია, დიდიე დეშანის ვარჯიშებს აკვირდება და სწავლობს.

ენდი მიოლერი: „კლოზე საუკეთესო და ყველაზე ძლიერი გერმანელი ფეხბურთელია ამჟამად და ბევრი მსურველიც ჰყავს ესპანეთიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან. მირო ნამდვილი ჩემპიონია, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება „იუვენტუსს" ძალიან გაუჭირდება. რაც შეეხება მეცელდერს, მან მსოფლიოს ჩემპიონატზე მშვენივრად ითამაშა და თუ „იუვეში" გადავა, გუნდს ნამდვილად გააძლიერებს. მის დარ მოთამაშეს ხელიდან არ გავუშვებდი. თანაც მჯერა, რომ იტალიურ ფეხბურთს შეეწყობა".

**კოკი კანდელაკი**

# რა მოხდება, ტოტი რომ მოტყდეს?

ფრანჩესკო ტოტის ეროვნულ ნაკრებში 2006 წლის მუნდიალის მერე არ უთამაშია, საფრანგეთთან მოგებული ფინალის მერე. მან მალევე თქვა, 2007 წლამდე ნაკრებს უნდა ჩამოვშორდე და სათანადო ფორმაში რომ ჩავდგები, შემდეგ დავბრუნდებიო. რობერტო დონადონიმ მას რამდენჯერმე უხმო, მაგრამ პასუხად უარი მიიღო.



„სკუადრა ატურას" მეათე ნომერს საფეხბურთო სამყაროში ცნობილმა არაერთმა ადამიანმა ურჩია, ნაკრებში დაბრუნდიო, მაგრამ იგი შეუვალი იყო და ისიც თქვა, შესაძლოა, სანაკრებო კარიერა საერთოდ დავასრულოო. ახლა კი ირკვევა, რომ დაიცავს თუ არა ტოტი იტალიის ნაკრების ღირსებას, უკვე მხოლოდ მასზე აღარ არის დამოკიდებული".

„რა მოხდება, თუ ტოტი მეტყვის, რომ მზად არის და ნაკრებში დაბრუნება სურს? არ ვიცი, „მოვიფიქრებ" — თქვა დონადონიმ.

„ლივორნოს" ყოფილმა თავკაცმა, გასულ უქმეებზე ლივორნოელი ფაბიო გალანტეს და ტოტის შეხლაზეც გააკეთა კომენტარი: „რადგან ფრანჩესკო გააძევეს, ესე იგი მან რაღაც დააშავა და პასუხიც უნდა აგოს. მე ის ეპიზოდი არ მინახავს, მაგრამ, როგორც გავიგე, სერიოზული არაფერი ყოფილა. ჩვენ ტოტის თითოეულ საქციელს ასე დაწვრილებით არ უნდა ვარჩევდეთ".

ვთქვათ ისიც, რომ იტალიის ნაკრებს მორიგი მატჩი 7 თებერვალს ელის. „სკუადრა ატურა" სიენაში რუმინეთის ამხანაგურად გაეჯიბრება.

**გიორგი კაკაბაძე**



# ჰენდრი გამომექაჩაო

„მანჩესტერის" ერთმა ფანმა პოლიციას უთხრა, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ამასწინანდელი მატჩისას, „ასტონ ვილას" ნახევარმცველმა ლი ჰენდრიმ შეურაცხყო.

ჰენდრის აგრესიული ჟესტებით დაუსრულებია ფანთან კამათი და ახლა ჩვენების მიცემა მოუწევს.

„ვილას" პრესმდივანმა მედიას აუწყა, რომ ჰენდრი ყოველივეს უარყოფს.

# მილანმა ოდოს ბოლო მოუღო



**იტალიურმა** „გაძეტა დელო სპორტმა“ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მასიმო ოდო ბოლოს და ბოლოს გადავიდა „მილანში“ და ამით ხანგრძლივ მოლაპარაკებებს წერტილი დაესვა. „ლაციომ“ 30 წლის მარჯვენა მცველის ნაცვლად, 7,75 მილიონი ევრო და პასკუალე ფოჯა მიიღო. 26 წლის ნახევარმცველი ისედაც „ლაციოშია“, მაგრამ „ბიანკონერისტის“ იგი „როსონერისგან“ ნათხოვარი ჰყავდა და არა ნაყიდი. რამდენწლიანია ოდოსა და შავ-წითლების კონტრაქტი, ჯერ უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ოდოს „მილანში“ გადასვლაზე სულ მცირე, ორი წელია, საუბრობდნენ. „ლაციოს“ აწ უკვე ყოფილი კაპიტანი გასულ უქმეებზე ამ კლუბებს შორის შეხვედრაში არ ათამაშეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ „სკუადრა აძურას“ მცველი „როსონერიში“ გადასვლასთან ახლოს იყო.

ოდოს პროფესიული კარიერა სწორედ „მილანში“ დაიწყო. „ლაციომდე“ იგი „მონცაში“, „ნაპოლსა“ და „ვერონაშიც“ თამაშობდა. იგი არ მალავდა, რომ „როსონერიში“ გადასვლა სურდა და საბოლოოდ აისრულა კიდეც საწადელი.

ამ ტრანსფერით „მილანმა“ დაცვა ნამდვილად გაიძლიერა, თუმცა უკვე მარადიულ პრობლემად ქცეული „როსონერის“ მცველთა ასაკი ძალაში რჩება, რადგან პატარა ბიჭი არც ოდოა. იგი ვეტერან ალესანდრო კოსტაკურტას, პაოლო მალდინის, ჯუზეპე ფავალის, სერჟინიოს, კაფუს, მარეკ იანკულოვსკისა და ალესანდრო ნესტას შეუერთდა. ამჟამად მილანელთა ძირითადი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მცველები დანიელე ბონერა და ჩვენებური კახა კალაძე არიან, რომლებიც ასევე დიდი ხანია, ახალგაზრდებად აღარ მოიხსნიებიან.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რეალიდან ამოსაღები კბილი

## გალიანის მუქთა რონალდო უნდა

**ბრაზილიელი** ფორვარდის რონალდოს „მილანში“ გადასვლის ამბავი გაურკვეველი ვადით გადაიდო. მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „კიჭას“ იანვარში უფასოდ წასვლის ნებას ვერ დართავს. „როსონერის“ პოზიცია კი უცვლელია — თუ რონალდო „რეალთან“ კონტრაქტს გააბათილებს და თავისუფალი აგენტი გახდება, სიამოვნებით მივიღებთ, მაგრამ მასში ფულის გადახდა არ შეგვიძლიაო.

„ახლა ჩვენზე არაფერი აღარ არის დამოკიდებული. თუ ფეხბურთელი შეძლებს და „რეალისგან“ გათავისუფლდება, ჩვენი კარი მისთვის ღიაა, მაგრამ რონალდოს ყიდვას არ ვაპირებთ. ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ“ — თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„რეალის“ გენერალური დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი: „ერთი რამ ცხადია, რონალდოს უფასოდ წასვლის ნებას ვერ მივცემთ. „მილანის“ გარდა რამდენიმე კლუბის წინადადება მივიღეთ და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. რონალდო დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო ბოლო წლებში ფორმაში არ არის. ზაფხულში მის გაყიდვაზე უარი ვთქვით, რადგან გვჯეროდა, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ვნახოთ, რა იქნება ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში“.

„მილანის“ გარდა, „კიჭათი“ ინგლისური, არაბული და ამერიკული კლუბები არიან დაინტერესებულნი. თუმცა თავად მას „მილანში“ სურს გადასვლა. როგორც ამბობენ, რონალდოს აგენტი ფაბიან ფარა „სამეფო გუნდის“ უფროსობასთან მოლაპარაკებას აგრძელებს, რათა როგორმე თავის კლიენტის „როსონერიში“ ტრანსფერი გაჩარხოს.



„ჩემი მომავალი „რეალს“ ნამდვილად არ უკავშირდება. მწვრთნელს არ ვჭირდები და შესაბამისად, მივდივარ. როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, არ ვიცი“ — აღნიშნა თავად 30 წლის ფორვარდმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ამანტინო მანსინი ჯამაგირზე ტიტინებს



**ამანტინო მანსინი** მზადაა „რომასთან“ კონტრაქტი განაახლოს.

„აქ ყოფნა ძალიან მსიამოვნებს, ხოლო ფრანჩესკო ტოტისთან არანაირი პრობლემა არ მაქვს“ — უთხრა 26 წლის ბრაზილიელმა „კორიერე დელო სპორტს“.

არადა, ამბობდნენ, რომ მანსინი ივნისში წავიდოდა გუნდიდან. ასახელებდნენ მიზეზსაც — კონფლიქტი ფრანჩესკო ტოტისთან, თუმცა თავად ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ კაპიტანთან ყველანაირი უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა.

„სულაც არ ვაპირებ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავიდე. კონტრაქტის თანახმად „რომაში“ 2009 წლამდე უნდა დავრჩე, „რომას“ ფეხბურთელობა კი ძალიან მეამაყება. გაზეთებში წავიკითხე თითქოს „ინტერი“ მეპატიჟებოდა, მაგრამ მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ არც ერთ კლუბთან არ მქონია მოლაპარაკებები. რომში თავს ბედნიერად ვგრძნობ და არსად წასვლა არ მინდა. მეტიც, ჩემსა და კლუბს შორის საუცხოო ურთიერთობებია, ასე რომ, უახლოეს ხანს კლუბის ხელმძღვანელებს ვნახავ და ხელშეკრულების განახლებაზე დაველაპარაკები. ახლა კი რაც შეეხება ფრანჩესკო ტოტისთან კონფლიქტს. ჩვენს შორის გაუგებრობა 2005 წლის ბოლოს იყო და მას მერე ამაზე არც გვილაპარაკია. ყველაფერი გარკვეულია და ყველანაირი ჭორები საფუძველს მოკლებული გახლავთ“.

და რას წერდა იტალიური პრესა? იმას, რომ 18 თვის წინ მანსინის „რომა“ ხელფასის მომატებას დაპირდა და პირი უშალა.

„დიახ, მე დამპირდნენ, რომ ხელფასს გამიზრდიან. იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანს ამ თემაზე დავიწყებთ საუბარს, თუმცა საპრობლემო ამაში არაფერია“.

ამანტინო მანსინი „რომაში“ 2003 წელს გადავიდა და, ბუნებრივია, იტალიის ჩემპიონი არ ყოფილა, მაგრამ „ინტერთან“ 11 ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად ამის იმედი მიმდინარე სეზონში აქვს.

„რა საკვირველია, 11 ქულა მნიშვნელოვანი უპირატესობაა, მაგრამ მე მინდა ბოლომდე ვიბრძოლოთ. მხოლოდ თასებზე კი არ უნდა მოვიკრიბოთ ძალები, არამედ ყოველი შეხვედრა მაქსიმალური მონდომებით უნდა ჩავატაროთ“.

**ბაჩუნა ძედია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მიდლსბროს“ იტალიელი ფორვარდი მასიმო მაკარონე, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება და „სიენაში“ გადავა. ამის შესახებ მისმა აგენტმა პაოლო ფაბრიმ განაცხადა: „მაკარონეს წასვლის თაობაზე კლუბს ვესაუბრებით. „სიენა“ მას სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს და ალბათ, ჩემს კლიენტს თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვებენ“. მასიმო მაკარონე „მიდლსბროში“ 2002 წელს „ემპოლიდან“ გადავიდა და „ბორომ“ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადა. იტალიელმა ინგლისში 102 მატჩში 24 გოლი გაიტანა.

**ბელგიურმა** „ანდერლეხტმა“ შვედური „ჰამარბიდან“ მაქს ვონ შლებრუგი გადაიბირა. 27 წლის მცველი ამ დღეებში ჩავა ბელგიაში და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შემდეგ კი კლუბთან სამწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს. ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

**ინგლისური** „ნიუკასლის“ მეკარე შეი გივენი დაშავდა და ერთ თვეს ვერ ითამაშებს. მან „ვესტჰემთან“ მატჩში საზარდულის ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად კარში ალბათ სტივ ჰარპერი ჩადგება. ძირითადი მეკარე კი „ასტონ ვილასთან“, „ფულემთან“ და „ლივერპულთან“ შეხვედრებს გამოტოვებს.

**ესპანურმა** „სევილიამ“ ინგლისურ „ვესტ ჰემს“ ფორვარდი კეპა ბლანკო სეზონის ბოლომდე ათხოვა. 13 წლის ბლანკო ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და გასულ სეზონში 26 მატჩში ექვსი გოლი გაიტანა. ვესტჰემელებს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მისი გამოსყიდვის უფლება ექნებათ.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ“ ამერიკელი ნახევარმცველი კლაუდიო რეინა თავისუფალი აგენტის სტატუსი გაუშვა. 33 წლის ფეხბურთელმა სამწელიწადნახევარი გაატარა „სიტიში“. იგი მანჩესტერულ კლუბში „სანდერლენდიდან“ 2005 წლის აგვისტოში სამ მილიონ გირვანქად გადავიდა. ძირითად შემადგენლობაში 77 მატჩი ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა.

**ფრანგულმა** „ტულუზმა“ პსჟ-დან ბრაზილიელი ნახევარმცველი პაულუ სეზარი გადაიყვანა. სეზარი პარიზულ კლუბში რომ დარჩენილიყო, ივნისში თავისუფალი აგენტი გახდებოდა, მაგრამ დედაქალაქში უქმად ჯდომას „ტულუზში“ თამაში არჩია. შეგახსენებთ, რომ პსჟ-ს მწვრთნელად ერთი კვირის წინ პოლ ლე გუენი დანიშნეს და სწორედ მან გაუშვა გუნდიდან ბრაზილიელი.

# ჩახედე სერიAს თვალებში

## ლაპარაკმა ფრე და წაგება იცის

**სერია B-ს** პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი და ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი დიდიე დეშანი უკვე სეზონის პირველ ნაწილს აფასებს. ფრანგი სპეციალისტი თავისი გუნდის შედეგებით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ „ბებერი ქალბატონი“ თამაშს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. ამჟამად „ბიანკონერი“ 20 მატჩიდან 38 ქულით ცხრილის სათავეშია.

„სტატისტიკა ყველაფეზე მეტყველებს, თუმცა ბევრად მეტი შეგვეძლო. „რიმინისთან“ პირველი ტურის მატჩის შემდეგ, რომელიც ფრედ დასრულდა, გუნდმა მენტალიტეტი შეიცვალა და ახალ ვითარებას შეეგუა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ დაშავებული ფეხბურთელები, რაც შეიძლება, მალე მომჯობინდნენ და სრული შემადგენლობით გავაგრძელოთ სვლა. სეზონის პირველი ნაწილი ბრწყინვალედ ჩავატარეთ. მოთამაშეების ხშირმა ტრავმებმა გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა მაგრამ, სწორ გზაზე ვდგავართ. ეს „ბარისთან“ შეხვედრაშიც გამოჩნდა, როცა გოლი პირველივე წუთზე გავუშვით, მაგრამ სათანადო რეაგირება მოვახდინეთ“ — თქვა დეშანმა, რომლის შეგირდებმაც ჯერჯერობით ერთადერთხელ, „მანტოვასთან“ წააგეს.

„იუვენტუსის“ ნახევარმცველი მაურო კამორანეზის აგენტის თქმით, არგენტინაში დაბადებული ფეხბურთელი, ალბათ, გუნდში დარჩება. მართალია, ზაფხულში მას წასვლა უნდოდა და მსურველებიც ჰყავს „ლიონის“, „ვალენსიასა“ და „ინტერის“ თამადობით, მაგრამ, როგორც ჩანს, „კამომ“ გადაიფიქრა.

„კლუბის ხელმძღვანელობასთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს. ჩვენთვის ყველა კარი ღიაა, სპორტული დირექტორი ალესიო სეკოსგან დაწყებული. ისიც ვიცით, რომ სერია **B**-ში დაქვეითებით გუნდმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა. თუმცა სერია **B**-ში დაბრუნება ახალ ინვესტიციებსაც გულისხმობს. ერთი სიტყვით, თუ ყველაფერი ასე კარგად გაგრძელდა, მაურო მზად არის, დარჩეს. მან ეს ზაფხულშიც დაამტკიცა, როცა „იუვედან“ არ წავიდა“ — განაცხადა კამორანეზის წარმომადგენელმა.

მომავალზე არ საუბრობს და გადაჭრით ისევ არ ამბობს, დარჩება თუ წავა ჯანლუიჯი ბუფონი, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას მის გასხვისებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს.

„ჯიჯი არანაირ სატრანსფერო ვარიანტში არ განიხილება. მის გაშვებას არ ვაპირებთ და მჯერა, თავად ბუფონსაც დარჩენა უნდა“ — აღნიშნა ცოტა ხნის წინ სეკომ.

ჯანლუიჯი ბუფონი: „არ მინდა, მომავალზე ვილაპარაკო. ახლა ყველამ სერია **A**-ში დაბრუნებასა და თამაშზე უნდა ვიფიქროთ, მერე კი კონტრაქტებსა და ტრანსფერებზე სალაპარაკო დროც იქნება. როცა ამაზე საუბარი დავიწყეთ და ყურადღება გავფანტეთ, წავაგეთ და ფრე ვითამაშეთ. ამიტომ ჯობს, ახლა მარტო მატჩებზე მოვახდინოთ მობილიზება.“


ეროვნული ბიბლიოთეკა

კამორანეზის და ბუფონს B-ში უხარიათ

სამაგიეროდ, ბუფონმა განაცხადა, ვამაყობ, ახლა „იუვენტუსის“ ფეხბურთელი რომ ვარო. შეგახსენებთ, რომ მას ახლა მცირე ტრავმა აქვს და მინდორს მალე დაუბრუნდება.

„სერია **B**-ს ეს სეზონი ჩვენი დამსახურებით აშკარად განსაკუთრებული და ბევრად საინტერესოა. უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებამ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, ფინანსურის ჩათვლით, თუმცა, როცა სერია **A**-ში დავბრუნდებით, პირნათლად შევხედავთ ყველას თვალებში. ეჭვი მეპარება, რამდენიმე სხვა კლუბმა ეს შეძლოს“— განაცხადა ბუფონმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# უფროო, სასტვენიანი ანგელოზები

## მსაჯები ინტერს მფარველობენ



**„ინტერის“** პრეზიდენტს მასიმო მორატის ბრალდების უარყოფა მოუხდა, ბრალდება კი ის გახლავთ, რომ მის გუნდს მსაჯები მფარველობენ.

„არა მგონია, რომ ჩვენ ვინმე გვეხმარება“ — თქვა ბიზნესმენმა.

შეგახსენებთ, რომ კვირას, მე-20 ტურში, „შავ-ლურჯებმა“ სერია **A**-ში ზედიზედ მე-13 გამარჯვება მოიპოვეს და თავიანთივე თორმეტთამაშიანი რეკორდი გააუმჯობესეს, მაგრამ გაჩნდა კითხვებიც — ბოლო თამაში „ინტერს“ „ფიორენტინასთან“ ჰქონდა და ამ შეხვედრას მსაჯმა ემიდიო მორჯანტიმ დამაჯერებლად ვერ გაართვა თავი.

„გულწრფელად გეუბნებით, რომ მსაჯთა დახმარებას მე ვერ ვგრძნობ — განაცხადა მორატიმ — თუმცა დამარცხებულებს მსაჯებზე საუბრის დაწყება ხშირად გულს ფხანს. ბოლო ტურში პრობლემა „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ და სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ წამოსწიეს. ვფიქრობ, მათ ნერვებმა უმტყუნა, თორემ ის, რაც მოგვიანებით პრესაში განაცხადეს, მთლად ასე შეიძლება არც იყო. მაგალითად, ჩემზე თამაშის მსვლელობისას მსაჯმა ისეთი შთაბეჭდილება არ დატოვა, როგორიც მათზე დაუტოვებია. საერთოდ, ჩვენში თამაშის შემდეგ ასეთი განცხადებების მოსმენა უკვე წესად იქცა“.

სადღეისოდ, „ინტერი“ სერია **A**-ს ცხრილში უახლოეს მდევარ „რომას“ 11 ქულით უსწრებს და მორატისაც უპირველეს ყოვლისა ის უნდა, რომ მისმა ბიჭებმა ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთისაკენ მიმართონ.

„ჩვენ ჯერ ვიბრძვით, მეტწილად „რომასთან“, რომელიც ძლიერი გუნდია — განაგრძო მორატიმ — მოგებით ჯერ არაფერი მოგვიგია. საბედნიეროდ კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უკვე გავიმარჯვეთ“.

ამასობაში კი გავრცელდა ჭორები, თითქოს, „შავ-ლურჯები“ სეზონის ბოლოს, მადრიდის „რეალისგან“ ანტონიო კასანოს გადაიყვანენ და ოთხწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ერთი ხნის წინ „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმაც თქვა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა კასანოსთან, რომლის ხელფასი შესაძლოა 4,2 მილიონსაც კი გაუტოლდეს.

და ბოლოს, მორატიმ განაცხადა, რომ იმავე „რეალიდან“ რონალდოს „მილანში“ გადასვლა მისთვის ერთგვარი ღალატის ტოლფასი იქნება.

„მაგრამ იძულებულნი ვიქნებით ამას შევეგუოთ — თქვა მილიონერმა — ასეა თუ ისე, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ამ ტრანსფერის ჩასაშლელად თითს თითზე არ დავადებთ, ჩვენ ეს არ გვეხება“.

**პაპუნა ქედია**

# იდაყვმა მოიბოდიშა

**იტალიური** „ლივორნოს“ მცველმა ფაბიო გალანტემ საჯაროდ მოიბოდიშა ფრანჩესკო ტოტისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო, რამაც საბოლოოდ „გლადიატორთა“ კაპიტნის განრისხება და გაძევება გამოიწვია. ეს ინციდენტი „ლივორნო“ — „რომას“ დაძაბული მატჩის ბოლო წუთებზე მოხდა.

„სიტუაციის განმუხტვას და ყველას დამშვიდებას ვცდილობდი, ვწუხვარ, რომ ტოტი გააგდეს. იგი ჩემი მეგობარია და მას დიდ პატივს ვცემ. არც იდაყვი ჩამირტყამს ძალით, ბინძური მოთამაშე არ ვარ. პრესა წერდა, თითქოს ფრანჩესკოს პროვოკაცია მოვახდინე და მინდოდა, ფეხში მწარედ ჩამერტყა. ეს ტყუილია, წინა სეზონში 35 მატჩში მხოლოდ 4 ყვითელი ბარათი მივიღე. „რომასთან“ შეხვედრაში გაფრთხილება კი ჩემთვის პირველია ამ სეზონში. ტოტისთან შეჯახებისთანავე მასთან მივედი და ვუთხარი, რომ უხეშად განგებ არ მითამაშია და ფრანჩესკოს დამშვიდებას ვცდილობდი. ამ დროს მას მსაჯი ეძახდა, რომელიც ვითარებაში კარგად რომ გარკვეულიყო, არაფერიც არ მოხდებოდა“ — განაცხადა ტოსკანელთა მცველმა.

სხვათა შორის, არცთუ შორეულ წარსულში „რომას“ გალანტეს შეძენა სურდა და ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ ეს ტრანსფერი ადრე თუ გვიან შედგება: „რომა“ ძალიან ძლიერი გუნდია და სერია **A**-ში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. „გლადიატორთა“ თამაშს იმიტომ ვაკვირდები, რომ მათ რიგებში ბევრი ჩემი მეგობარი თამაშობს. იმედი მაქვს, მომავალში დედაქალაქელთა ღირსებას მეც დავიცავ. ამ ტრანსფერთან ახლოს უკვე ვიყავი და მინდა, ბოლოს და ბოლოს ეს განხორციელდეს“.

**კოკი კანდელაკი**



გალანტე და ტოტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრიანო ლონდონში



„ინტერის" ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო ნაკრებში გამოიძახეს. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები თებერვალში ლონდონში ამხანაგურად ეთამაშებიან პორტუგალიის ნაკრებს, რომელსაც ბრაზილიის ყოფილი მწვრთნელი და მსოფლიოს ჩემპიონი ლუიშ ფელიპე სკოლარი თავკაცობს. ეს იქნება ამ გუნდების პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ პორტუში ევროპელებმა სამხრეთამერიკელები 2:1 დაამარცხეს. „ადრიანომ ძალიან რთული პერიოდი გამოიარა და ახლა უკვე აღმავლობის გზაზეა, ამიტომ ნაკრებში გამოძახებით, ვფიქრობ, თავდაჯერება უფრო შეემატება" — განაცხადა კარლოს დუნგამ.

ადრიანო გვარიანად გააკრიტიკეს მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე უნიათო თამაშისთვის და მას შემდეგ მთელი ზაფხული და შემოდგომა ფორმის აღდგენაზე მუშაობდა. იგი „ინტერმა" დროებით სახლშიც კი გაუშვა დასასვენებლად და გონზე მოსასვლელად. ბოლოს და ბოლოს ადრიანო „გაცოცხლდა". ახლა „ინტერში" გოლი გოლზე გააქვს. გასულ უქმეებზე „ფიორენტინასთან" 1:1-ზე სწორედ მან გაიტანა და „ინტერს" მიჯრით მეცამეტე მოგებაში დაეხმარა.

„ნაკრებში ადგილი დაჯავშნული არავის არ აქვს — თქვა დუნგამ — ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ყველამ თავდაუზოგავად უნდა იბრძოლოს".

დუნგას გუნდში კი ბევრი სიახლე არაა. კვლავ ვერ მოხვდა ნაკრებში „რეალის" დატანჯული ფორვარდი რონალდო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ გამოუძახიათ. კარლოს დუნგას ხელში ბრაზილიამ ხუთი მატჩი ითამაშა და ჯერ დაუმარცხებელია.

### ბრაზილიის ნაკრები

*მეკარეები:* *ჟულიო სეზარი (ინტერი, იტალია), ელტონი (პორტუ, პორტუგალია);*

*მცველები:* *ადრიანო კორეირა (სევილია, ესპანეთი), ალექს როდრიგო (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), დანიელ ალვეში (სევილია, ესპანეთი), ჟილბერტო (ჰერტა, გერმანია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ლუსიო (ბაიერნი, გერმანია), ლუიზაო (ბენფიკა, პორტუგალია), დუგლას მაიკონი (ინტერი, იტალია);*

*ნახევარმცველები:* *დიეგო (ვერდერი, გერმანია), დუდუ (ცსკა, რუსეთი), ედმილსონი (ბარსელონა, ესპანეთი), ელანო (შახტარი, უკრაინა), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), კაკა (მილანი, იტალია), ტინგა (დორტმუნდი, გერმანია), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები:* *ადრიანო (ინტერი, იტალია), ფრედი (ლიონი, საფრანგეთი), რაფაელ სობისი (ბეტისი, ესპანეთი), რობინიო (რეალი, ესპანეთი).*



# პლასტიკურ-ფინანსური ოპერაცია რეალის მკერდზე

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა, რომ კლუბი მალე ახალ სპონსორთან გააფორმებს კონტრაქტს და მაისურაზე წარწერაც შეიცვლება. ამჟამინდელი სპონსორი **BENQ MOBILE** ტაივანური კომპანიაა, რომელიც გაკოტრების პირასაა. მათ „რეალთან" 2005 წლის ნოემბერში გააფორმეს გარიგება და ხუთი წლის განმავლობაში „სამეფო კლუბს" 100 მილიონი ევრო უნდა მიელო. „ჩვენს მაისურაზე ახალი სპონსორის სახელი გაჩნდება — თქვა პრეზიდენტმა — ეს საქმე, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე მოგვარდება და უფრო მეტ ფულს მივიღებთ, ვიდრე ძველი კონტრაქტისგან. ზინედინ ზიდანი და ლუიშ ფიგუ წავიდნენ, დევიდ ბექჰემიც მიდის, რონალდო კი სათადარიგო გახდა. შესაბამისად ჩვენი შემოსავლებიც შემცირდა, რადგან ვარსკლავები აღარ გვყავს" — აღნიშნა კალდერონმა.

ძველ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის ხელში „რეალი" მსოფლიოს უმდიდრეს კლუბად იქცა. დევიდ ბექჰემის გადასვლის შემდეგ „სამეფო გუნდის" შემოსავლებმა 35 პროცენტით იმატა, ახლა კი, ინგლისელი მიდის და „რეალმაც" ამიტომ მოძებნა ახალი სპონსორი, რომ დანაკლისი აინაზღაუროს.

რაც შეეხება ბექჰემს, რომელსაც გუნდთან მაისის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ აპრილშივე სურდა ლოს ანჯელესს „გალაქსიში" გადასვლა, ალბათ ხელშეკრულების ამოწურვამდე არ გაუშვებენ. ამის შესახებ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა: ბექჰემი კონტრაქტის ბოლომდე უნდა დარჩეს, ხოლო ითამაშებს თუ არა მას კაპელო ძირითად შემადგენლობაში, ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია"

**ირაკლი ნინიძე**

# კავენაგიმ არაში ბორდოზე გაცვალა

ფრანგულმა „ბორდომ" მოსკოვის „სპარტაკისგან" არგენტინელი ფორვარდი ფერნანდო კავენაგი იყიდა. ამის შესახებ რუსული კლუბის პრესსამსახურმა განაცხადა. გარგების თანახმად, არგენტინელმა „ბორდოსთან" ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, ფინანსურ მხარეს კი არ ახმაურებენ. თუმცა, „სპარტაკის" ცნობით, მათ მეტი მიიღეს ფეხბურთელის სანაცვლოდ, ვიდრე გადაიხადეს 2004 წელს. სვარაუდოდ, ფრანგებმა 13 მილიონი ევრო გადაიხადეს და თუ ფორვარდი კარგად ითამაშებს, რუსული კლუბი კიდევ დამატებით 3 მილიონ 250 ათასს მიიღებს.

„სპარტაკმა" ფერნანდო კავენაგი „რივერ პლეიტიდან" 11 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ არგენტინის 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს რუსეთში ბუცები დაუბლაგვდა. 2004 წელს 9 მატჩში ერთი გოლი გაიტანა, 2005-ში 26 შეხვედრაში — შვიდი, ხოლო გასულ სეზონში 28 ტურში — 9.

კავენაგიმ „ბორდოში" სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. შესაძლოა, მან დღესვე ითამაშოს სტუმრად „ლიონის" წინააღმდეგ.

**ირაკლი ნინიძე**





# ცაცია სჯობს მარჯვენას

„ბლექბერნმა" საბოლოოდ გაჩარხა „ლივერპულიდან" სტეფან უორნოკის ტრანსფერი, თუმც უცნობია, რამდენი გადაიხადა. მარცხენა მცველმა სამწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და შეცვლის ავსტრალიელ ლუკას ნილს, რომელიც „ვესტ ჰემში" გადავიდა.

„ბლექბერნის" მწვრთნელ მარკ ჰიუზს 25 წლის ფეხბურთელის გადაბირება დიდი ხანია, უნდოდა და სანაცვლოდ ნილს უთმობდა „ლივერპულს", მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ავსტრალიელმა „ჩაქუჩებში" გადასვლა არჩია, სადაც გაცილებით მეტს (50 ათასი გირვანქა) აიღებს კვირაში, ვიდრე რაფაელ ბენიტესის გუნდი სთავაზობდა.

„უორნოკს ასაკის კვალობაზე უკვე უდიდესი გამოცდილება აქვს — თქვა ჰიუზმა — ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია და პრემიერლიგაშიც შესანიშავი იყო. საქმისადმი მისი გულიანი მიდგომა ძალიან მომწონს. იგი ცაციაა და ლუკას ნილს ამ მხრივ სჯობს, რადგან ავსტრალიელი მარჯვენა ფეხით უკეთ თამაშობდა".

**ირაკლი ნინიძე**



**რა თქმა უნდა, 2006 წელი გერმანელი თავდამსხმელის მიროსლავ კლოზეს კარიერაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა. შარშან კლოზემ მსოფლიოს ჩემპინატზე ბომბარდირობისთვის „ადიდასისგან“ „ოქროს ბუცი“ მიიღო. ბრემენის „ვერდერის“ 28 წლის ფორვარდი მეტოქის კართან ბუნდესლიგაშიც გამოირჩეოდა. 25 გოლით გერმანიის ჩემპიონატიში ყველაზე მეტი გოლის ავტორი სწორედ ის გახდა და, კაცმა რომ თქვას, არც ამ სეზონში მიუდის საქმე ცუდად — 10 ზუსტი დარტყმით ბერლინის „ჰერტას“ თავდამსხმელის მარკო პანტელიჩის ტოლადაა. მიროსლავ კლოზე პოლონეთშია დაბადებული. მისი მშობლები გერმანიაში რომ გადასახლდნენ იგი რვა წლის იყო და fifa.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სხვა თემებთან ერთად ბავშვობის წლებსაც იგონებს**



# სად დაიკარგა მალაში?

## კლოზემ მშობლებს გერმანული დაასწრო

— მიროსლავ, 2006 წელს თქვენ შეუდარებელი იყავით. ბუნდესლიგაში საუკეთესო ბომბარდირი გახდით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვეთ და „ოქროს ბუციც“ გადმოგცეს. თავად როგორ აფასებთ ამ გასულ 12 თვეს?

— სპორტული თვალსაზრისით, რა საკვირველია, საუკეთესო წელიწადი მქონდა. ბევრი ინდივიდუალური ჯილდო მოვიგე. შეიძლება ითქვას, რომ ის მიზნები, რომლებიც საკუთარ თავს წლის დასაწყისში დავუსახე, ავასრულე.

— რამ უფრო გაგახარათ, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობამ თუ გუნდთან ერთად მესამე ადგილზე გასვლამ?

— ადამიანს ყოველთვის პირველობა უნდა, მაგრამ გერმანიის ნაკრებისთვის მესამე ადგილი ცუდი შედეგი ნამდვილად არ იყო. რაც შეეხება პირად მიღწევას, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 5 გოლი გავიტანე, 2006-ში ერთით მეტს ვგეგმავდი და ვერ შევძელი, მაგრამ „ოქროს ბუცი“ მაინც მივიღე და ამან ძალიან გამახარა.

— მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართა. რას იტყოდით ეროვნული გრძნობების იმ გადმოლვრაზე, იმ დღეებში რომ ვიხილეთ?

— ეს რაღაც განსაკუთრებული იყო. ასეთი ატმოსფეროსა და ემოციების ხილვა ერთ რამედ ღირდა. რომ მახსენდება ტანში ახლაც ჟრუანტელი მივლის. დიდებული გახლდათ ისიც, რომ ხულიგნობის ერთი ფაქტიც არ შეუმჩნევიათ.

— და მაინც, 2006-ში პირადად თქვენი მწვერვალი რაღა იყო?

— ამ წელიწადს ჯილდოების კოლექცია მოვაგროვე და მინდა გითხრათ, რომ თითოეულ მათგანს მნიშვნელოვნად ვთვლი. ჩემთვის მეორეხარისხოვანი არც ერთი არ არის.

— საუკეთესო თამაში რომელიღა იყო?

— ალბათ, ბუნდესლიგაში შინ „არმინიასთან“ თამაში. ჩვენ 3:0 მოვიგეთ და ამ სამი გოლიდან ორი ხომ თავად შევაგდე, მესამე კი ჩემი საგოლე პასით გავიდა.

— და ულამაზესი გოლი?

— ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი აშკარად მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, არგენტინის ნაკრების კარში გავიტანე, რაც შეეხება სილამაზეს, შობის შემდეგ „კიოლნის“ კარში შევაგდე ყველაზე ლამაზად.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა, იურგენ კლინსმანის ადგილი იოახიმ ლიოვმა დაიკავა. ეს თქვენთვის რას ნიშნავს?

— არაფერს. ვინაიდან ჩვენს ფილოსოფიაში არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ზუსტად ისევე გრძელდება, როგორც ადრე იყო. იოახიმ ლიოვი შემტევ ფეხბურთს მისდევს, რაც მოთამაშეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— ბუნდესლიგაში შედარებით ასაკოვანი გამოჩნდით. სანამ 22 წელი არ შეგისრულდათ, მანამდე გერმანიის ჩემპიონატში ბურთი არ გქონდათ გაგორებული. რაიმე პრობლემა იყო?

— დიახ, მე გვიან განვვითარდი. „კაიზერსლაუტერნთან“ პროფესიული კონტრაქტი რომ გავაფორმე უკვე 1999 წელი იყო, თუმცა საკითხს მეორე მხარეც აქვს: იცით, რამდენი მეგობარი მყავს, რომლებიც ბავშვობაში და სიყმაწვილეში ჩინებულად თამაშობდნენ, ახლა კი მეოთხე ლიგაში არიან?

— მამათქვენი იოჟეფი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, „ოსერში“ თამაშობდა. ალბათ, თქვენს კარიერას ყველაზე დიდი დაღი მან დაასვა.

— მამაჩემმა მართლაც დიდი როლი ითამაშა, თუმცა „კაიზერსლაუტერნიდან“ „ვერდერში“ გადასვლა თავად გადავწყვიტე. ეს ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი.

— კაიზერსლაუტერნში რომ გადმოსახლდით რვა წლისა იყავით და გერმანულად ერთ სიტყვასაც ვერ ამბობდით. რა როლი ითამაშა ფეხბურთმა თქვენს გერმანიასთან შეგუებაში?

— ფეხბურთი ამ მხრივაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ სულ ბურთს ვაგორებდით. უფროსი ბიჭები ხედავდნენ, რომ ტოლს არ ვუდებდი და მათამაშებდნენ. შემდეგ, არჩევანი-არადანის დროს პირველად ჩემი აყვანა დაიწყეს და ასე, ნელ-ნელა შევეჩვიე გერმანიას. სხვათა შორის, ჩემი ოჯახის წევრებიდან პირველი, ვინც ენა ისწავლა, მე ვიყავი.

— „კაიზერსლაუტერნში“ თქვენ ოტო რეჰაგელმა აღმოგაჩინათ. შემდეგ, ბრემენში თომას შააფმა ჩაგიყვანათ, იურგენ კლინსმანმა კი ნაკრებში დაგიჭირათ მხარი. რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მწვრთნელი?

— ჩემს მწვრთნელთაგან ყველა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თქვენს მიერ ჩამოთვლილი ადამიანები მე მენდობოდნენ და მათამაშებდნენ, რაც ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის იყო ფრიად მნიშვნელოვანი.

— „ვერდერი“ ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას“, „ჩელსისა“ და „ლევსკის“ ჯგუფში თამაშობდა. თქვენ მესამეზე გახვედით და უეფას თასზე გადახვედით. შანსებს როგორ აფასებთ?

— პრინციპში, ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი გამოსვლით უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონასთან“ სტუმრად ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვეძლია, ამ ჯგუფში ქულების მოპოვება მნიშვნელოვანი რამ გახლდათ. ახლა, უეფას თასზე ვართ და ამას დამამშვიდებელ ჯილდოდ სულაც არ აღვიქვამთ, გვინდა რაც შეიძლება მეტხანს შემოვრჩეთ შეჯიბრებას. ჩვენი მეტოქე „აიაქსია“, ამსტერდამელებს კი ძლიერი გუნდი ჰყავთ. თუ გავცდებით, ან ვიგოში მოგვიწევს ჩასვლა ან მოსკოვში. იოლი არც ერთია და არც მეორე.

— 2007 წელს ყველაზე მეტად რა გინდათ?

— უპირველეს ყოვლისა მინდა ჯანმრთელად ვიყო, ეს უმნიშვნელოვანესია. გარდა ამისა, მინდა მაისში ბუნდესლიგის სასალათე გვერგის და თუ ასე მოხდება, ძალიან გამიხარდება.

— გოლის გატანის შემდეგ ზეიმის თქვენებური წესი რატომღა შეცვალეთ?

— მალაყი მართლაც კარგა ხანია არ გამიკეთებია, მაგრამ ვფიქრობ, მეორე წრიდან ისევ გავაკეთებ.



## ინგლისი

ჩემპიონატი. XXIX ტური

პლიმუთი 3:2 ძოვენთრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დერბი | 29 | 17 | 5 | 7 | 38:28 | 56 |
| ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46:26 | 53 |
| პრესტონი | 29 | 15 | 8 | 6 | 44:30 | 53 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 14 | 7 | 8 | 54:35 | 49 |
| საუთჰემპტონი | 29 | 13 | 10 | 6 | 46:32 | 49 |
| კარდიფი | 29 | 12 | 10 | 7 | 38:30 | 46 |
| სანდერლენდი | 29 | 14 | 4 | 11 | 41:34 | 46 |
| კოლჩესტერი | 29 | 13 | 5 | 11 | 48:34 | 44 |
| სტოკი | 28 | 12 | 8 | 8 | 38:25 | 44 |
| ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 30:32 | 43 |
| პლიმუთი | 29 | 10 | 12 | 7 | 39:37 | 42 |
| უენსდი | 29 | 11 | 7 | 11 | 40:42 | 40 |
| ბარნლი | 27 | 10 | 8 | 9 | 32:28 | 38 |
| კრ. პალასი | 29 | 10 | 8 | 11 | 36:35 | 38 |
| იფსვიჩი | 29 | 11 | 5 | 13 | 40:40 | 38 |
| ქოვენთრი | 29 | 10 | 4 | 15 | 29:38 | 34 |
| ნორვიჩი | 28 | 9 | 7 | 12 | 35:45 | 34 |
| ლესტერი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:34 | 33 |
| ჰალი | 29 | 8 | 7 | 14 | 30:40 | 31 |
| ლუთონი | 29 | 8 | 7 | 14 | 37:50 | 31 |
| ქუინზ პარკი | 29 | 8 | 6 | 15 | 35:45 | 30 |
| ბარნსლი | 29 | 8 | 5 | 16 | 31:48 | 29 |
| ლიდსი | 28 | 7 | 3 | 18 | 29:52 | 24 |
| საუთენდი | 29 | 5 | 9 | 15 | 23:46 | 24 |

## იტალია

სერია B

XX ტური

მოდენა 1:1 არეცო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 14 | 5 | 1 | 36:12 | 38 |
| ნაპოლი | 20 | 9 | 9 | 2 | 21:12 | 36 |
| ჯენოა | 20 | 10 | 5 | 5 | 33:26 | 35 |
| რიმინი | 20 | 9 | 7 | 4 | 33:20 | 34 |
| ბოლონია | 20 | 10 | 4 | 6 | 24:17 | 34 |
| პიაჩენცა | 20 | 10 | 4 | 6 | 24:22 | 34 |
| მანტოვა | 20 | 8 | 9 | 3 | 22:14 | 33 |
| ალბინოლეფე | 20 | 5 | 14 | 1 | 19:15 | 29 |
| ბარი | 20 | 7 | 7 | 6 | 20:16 | 28 |
| ბრეშა | 20 | 7 | 7 | 6 | 22:22 | 28 |
| ტრიესტინა | 20 | 7 | 8 | 5 | 15:16 | 28 |
| ფროზინონე | 20 | 7 | 6 | 7 | 23:24 | 27 |
| ჩეზენა | 20 | 6 | 8 | 6 | 28:29 | 26 |
| ტრევიზო | 20 | 5 | 8 | 7 | 23:23 | 23 |
| ლეჩე | 20 | 6 | 4 | 10 | 25:31 | 22 |
| სპეცია | 20 | 4 | 8 | 8 | 20:28 | 20 |
| მოდენა | 20 | 5 | 5 | 10 | 12:20 | 20 |
| კროტონე | 20 | 3 | 10 | 7 | 16:25 | 19 |
| ვიჩენცა | 20 | 4 | 6 | 10 | 20:23 | 18 |
| ვერონა | 20 | 3 | 5 | 12 | 8:21 | 14 |
| არეცო | 20 | 3 | 8 | 9 | 14:21 | 11 |
| პესკარა | 20 | 1 | 7 | 12 | 15:36 | 9 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## გერმანია

II ბუნდესლიგა

XVIII ტური

ჰანზა 0:1 ფრაიბურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 18 | 12 | 5 | 1 | 43:18 | 41 |
| ჰანზა | 18 | 10 | 7 | 1 | 30:12 | 37 |
| დუისბურგი | 18 | 8 | 9 | 1 | 33:18 | 33 |
| ლაუტერნი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:16 | 31 |
| აუე | 18 | 9 | 3 | 6 | 26:25 | 30 |
| მიუნხენი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 28 |
| აუგსბურგი | 18 | 6 | 7 | 5 | 18:16 | 25 |
| ოფენბახი | 18 | 7 | 4 | 7 | 24:26 | 25 |
| ფიურტი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:23 | 23 |
| ფრაიბურგი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:24 | 22 |
| კიოლნი | 18 | 5 | 6 | 7 | 25:25 | 21 |
| პადერბორნი | 18 | 4 | 8 | 6 | 14:18 | 20 |
| კობლენცი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:26 | 20 |
| უნტერჰახინგი | 18 | 4 | 7 | 7 | 16:17 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:32 | 17 |
| კარლ ცაისი | 18 | 3 | 7 | 8 | 20:36 | 16 |
| ესენი | 18 | 3 | 5 | 10 | 15:22 | 14 |
| ბრაუნშვაიგი | 18 | 1 | 7 | 10 | 10:28 | 10 |

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 619 | კარდიფი-ლესტერი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 4 | ჯილინგემი-ტრანმერი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 5 | ხკანთორპი-მილუოლი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 6 | დონკასტერი-როტერჰემი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 19:00 | 7 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 19:00 | 8 | ბრაიტონი-პორტ ვეილი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 9 | ქრიუ-ლეიტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 10 | ბრედფორდი-იოვილი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 11 | ბრენტფორდი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 12 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 14 | ტორკი-გრიმსბი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 15 | როჩდეილი-დონსი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:00 | 16 | სტოკპორტი-უიკომბი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 17 | სუინდონი-მაკლსფილდი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 18 | ჩესტერი-მენსფილდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 19 | ჰარტლპული-ბერი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 20 | ლინკოლნი-პიტერბრო | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 21 | უოლსოლი-ბოსტონი | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 19:00 | 23 | დარლინგტონი-რექსემი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 24 | ჰერეფორდი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 49 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 50 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 51 | ჰიბერნიანი-მაზერუელი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 52 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 19:00 | 53 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 54 | ინვერნესი-სელტიკი | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 71 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 18:30 | 73 | ბოხუმი-მაინცი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:30 | 74 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:30 | 75 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2.50 | 3.00 | 2.90 | 1.36 | 1.34 | 1.47 |
| 18:30 | 76 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:30 | 77 | აინტრახტი-შალკე | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 18:30 | 79 | არმინია-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 80 | ალემანია-ლევერკუზენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 20:00 | 81 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 93 | კატანია-ემპოლი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 94 | ტორინო-უდინეზე | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| 23:30 | 95 | პალერმო-ლაციო | 1.90 | 3.10 | 4.10 | 1.17 | 1.29 | 1.76 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 96 | კიევო-ემპოლი | 2.35 | 2.80 | 3.20 | 1.27 | 1.35 | 1.49 |
| 18:00 | 97 | მესინა-ასკოლი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 98 | ატალანტა-კატანია | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 18:00 | 99 | კალიარი-რეჯინა | 2.10 | 2.90 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| 18:00 | 100 | რომა-სიენა | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2:86 |
| 18:00 | 102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 18:00 | 103 | მილანი-პარმა | 1.22 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.67 |
| 23:30 | 105 | სამპდორია-ინტერი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 137 | ბეტისი-ბარსელონა | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 146 | ვილიარეალი-რეალი | 3.85 | 3.20 | 1.90 | 1.74 | 1.27 | 1.19 |
| 23:00 | 151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.67 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.24 | 2.00 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 139 | ბარსელონა-სელტა | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 20:00 | 141 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 20:00 | 142 | ლევანტე-სევილია | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 20:00 | 144 | მალიორკა-უელვა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 145 | სოსიედადი-ბილბაო | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 23:45 | 148 | ბეტისი-ვალენსია | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 20:00 | 149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 20:00 | 150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 163 | მარსელი-ოსერი | 1.65 | 3.10 | 5.80 | 1.07 | 1.28 | 2.02 |
| 21:00 | 165 | ლილი-პსჟ | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 23:30 | 167 | სოშო-სედანი | 1.55 | 3.30 | 7.00 | 1.05 | 1.26 | 2.24 |
| 23:30 | 169 | ვალენსიენი-ლე მანი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:30 | 170 | მონაკო-რენი | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 23:30 | 171 | ლორიანი-ლანსი | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:30 | 172 | ნიცა-ტულუზი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 23:30 | 173 | ტრუა-ნანტი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:45 | 174 | ლიონი-ბორდო | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 176 | ნანსი-სტ.ეტიენი | 1.90 | 3.00 | 4.20 | 1.16 | 1.30 | 1.75 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 198 | შარლერუა-სტანდარდი | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 199 | მუსკრონი-გენტი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 23:00 | 201 | ბრიუსელი-ვარეგემი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 23:00 | 202 | ბრიუგე-რუზელარე | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 23:00 | 204 | გენკი-ლიერსი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 23:00 | 206 | ლოკერენი-სერკლი | 2.05 | 3.10 | 3.35 | 1.23 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 207 | სტ.ტრუიდენი-მონსი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:00 | 208 | ვესტერლო-ბევერენი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 209 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 220 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 22:30 | 221 | ტილბურგი-ვიტესი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 222 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:00 | 223 | ნაიმეგენი-ბრედა | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 23:00 | 224 | ალკმაარი-სპარტა | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 17:30 | 226 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:30 | 228 | გრონინგენი-აიაქსი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 17:30 | 229 | როდა-პსვ | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 17:30 | 231 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 297 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 495 | სამპდორია..-ინტერი.. | 4.50 | 3.00 | 1.85 | 1.79 | 1.31 | 1.14 |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 496 | მილანი-რომა | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 300 | ტვენტე-ბრედა | 1.65 | 3.60 | 4.60 | 1.13 | 1.21 | 2.01 |
| 23:00 | 302 | სპარტა-ვალვაიკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 303 | აიაქსი-ჰაარლემი | 1.08 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 5.18 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 20:45 | 306 | კერკირა-ოლიმპია | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 20:30 | 396 | ესეტ-ტურკუ | 2.35 | 4.10 | 2.10 | 1.49 | 1.10 | 1.38 |
| 20:30 | 397 | კერპეტი-იუვესკიულე | 1.25 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.56 |
| 20:30 | 398 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2.15 | 4.20 | 2.30 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 20:30 | 399 | ტაპარა-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10093 | კატანია-ემპოლი | 2.65 | 2.00 | 3.80 | 1.13 | 1.56 | 1.31 |
| 10137 | ბეტისი-ბარსელონა | 5.70 | 2.20 | 2.05 | 1.58 | 1.50 | 1.06 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11093 | კატანია-ემპოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11137 | ბეტისი-ბარსელონა | 8.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12093 | კატანია-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13093 | კატანია-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14093 | კატანია-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14137 | ბეტისი-ბარსელონა | 2.50 | 1.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15093 | კატანია-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | ბეტისი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16093 | კატანია-ემპოლი | 1.50 | 2.20 |
| 16137 | ბეტისი-ბარსელონა | 4.20 | 1.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17093 | კატანია-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ბეტისი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# განუმეორებელი ინგლისის ფანტასტიკური მოიერიშე მომავალს შავად ხედავს

**ბაჩო სვანიძე**

„როდესაც დენი ბურთს მიიღებს, ჩათვალეთ, რომ ათიდან ცხრა შემთხვევაში ლელოს გაიტანს. ლუგერი ფანტასტიკური მოიერიშეა“ — ეს სიტყვები ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ფენომენალურ კლაივ ვუდვორდს ეკუთვნის. დენ ლუგერი ახლა საფრანგეთის რანგით მეორე დივიზიონის „ტულონში“ ჩვენი გია ლაბაძის მხარდამხარ თამაშობს, მანამდე კი ინგლისელთა იმ „ოცნების გუნდში“ ბრწყინავდა, 2003 წლის მსოფლიოს თასი რომ მოიგო და ერთიმეორის მიყოლებით ანიოკებდა მეტოქეებს. მანამდე კი ინგლისის ნაკრების მელელოვემ 2001 და 2003 წლების ექვსი ერი დიდი სლემით მოიგო. 1998-2003 წლებში თავის ამპლუაში ბადალი არ ჰყავდა „ბარბაროსებად“ წოდებულ მსოფლიოს ნაკრებში და ბრიტანელ ლომებშიც მოასწრო თავისი ჯადორაგბობა. ინგლისური „ჰარლექუინზი“, „სარასენსი“, ფრანგული „პერპინიანი“ ის კლუბებია, სადაც აქამდე დენ ლუგერს უთამაშია. ახლა კი ინგლისელი ვარსკვლავი „ტულონის“ მთავარი მოიერიშეა. დენ ლუგერმა სანაკრებო კარიერა მსოფლიოს თასის მოგების შემდეგ დაასრულა, ისევე, როგორც „ვარდების“ სხვა ბევრმა ვარსკვლავმა. გაინტერესებთ მისი სანაკრებო მონაგარი? „დიდმა დენმა“ „ვარდებში“ ჩატარებულ 38 მატჩში 24 ლელო გაიტანა. ეს კი ინგლისური რაგბის ისტორიაში მეხუთე შედეგია. რაც ლუგერმა და მისმა თაობელებმა ნაკრებს თავი დაანებეს, მას აქეთ მსოფლიოს ჩემპიონებს ცუდი დროება დაუდგათ, ველარც ექვს ერზე ყოჩობენ და ტესტ-მატჩებსაც მიჯრით აგებენ. ლუგერს საფრანგეთში მაშინ დავუკავშირდით, როცა გია ლაბაძესთან ერთად სადილობდა



## დენ ლუგერი: ქართველებო, შემოგვთავაზეთ სიურპრიზი, თქვენ ეს შეგიძლიათ!

**— ნაკრებში ხუთი წელი თამაშობდით, შინაურ ამბებში ჩახედული ხართ და, თქვენი აზრით, რა არის ინგლისის ნაკრების კრიზისის მიზეზი?**

— უპირველესი მიზეზი თაობათა ცვლაა. მსოფლიოს თასის შემდეგ გუნდის ლიდერებმა სანაკრებო კარიერა დაასრულეს. ისეთ საკვანძო და უმნიშვნელოვანეს მოთამაშეებს კი, როგორებიც ჯონი უილკინსონი და ლოურენს დალალიო არიან, მთელი სეზონი ტრავმების გამო გაუცდათ. არ შეიძლებოდა ეს ყველაფერი, გუნდს არ დასტყობოდა, თანაც გასათვალისწინებელია მწვრთნელის ფაქტორი. ჩემი აზრით, უდიდესი მწვრთნელის კლაივ ვუდვორდის წასვლამ აწყობილი გუნდი დაშალა. ახალმა მწვრთნელმა ვერ შეძლო გუნდის შეკვრა, ახალბედებით სავსე და ექსპერიმენტებით გზააბნეულმა ნაკრებმაც მატჩი მატჩზე წააგო. ახლა ვითარება შეიცვალა. ნაკრები სულ ახლახან ბრაიან ეშტონმა ჩაიბარა. ეშტონი ფორვარდების საუკეთესო მწვრთნელია, ვისთანაც კი ოდესმე მიმუშავია. ამასთან, ეშტონს უყვარს შემტევი რაგბი. მისი მუშაობის შედეგს მალე დაინახავთ.

**— შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასამდე ეყოფა ეშტონს დრო, ისეთი გუნდი შეკრას, რომელიც ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს.**

— ეს დრო საკმარისია საჩემპიონო გუნდის გასაკეთებლად, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მსოფლიოს თასი საფრანგეთში ტარდება და მასპინძლები ამბობენ, ან ახლა ვხდებით ჩემპიონები, ან არასოდესო. ერთს კი გეტყვით, ეშტონის ხელში ინგლისის ნაკრები ლაღ, შემტევ და ლამაზ რაგბის ითამაშებს. მან იცის თავისი საქმე. პირველი, რაც გააკეთა, ნაკრებში ვეტერანები დააბრუნა. რაც მთავარია, ჯონი უილკინსონიც მომჯობინდა. ჯონი მალე ჩადგება ფორმაში და ინგლისიც სულ სხვანაირად ათამაშდება.

**— ესე იგი, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი ინგლის-საფრანგეთს შორის უნდა ვეძებოთ?**

— არა, უპირობო ფავორიტი ახალი ზელანდიაა და ჩემი აზრით, სწორედ „ოლ ბლექსი“ უნდა გახდეს გამარჯვებული, თუ, რა თქმა უნდა, „ზელანდიური“ არ დაემართათ, ანუ ისევ ნახევარფინალში არ წააგეს. „ოლ ბლექსის“ შემდეგ კი საფრანგეთსა და ინგლისს აქვთ თანაბარი შანსები.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ 2003 წლის ნაკრები ინგლისური რაგბის ისტორიაში საუკეთესო გუნდი იყო...**

— ამ შეხედულებას ვეთანხმები, რადგან ჩვენ იმ წელს ექვს ერზე დიდი სლემით გავიმარჯვეთ და მსოფლიო თასიც მოვიგეთ, თან ეს ისე ლამაზად და დაუყვედრებლად გავაკეთეთ, მეტოქეებმაც კი აღიარეს ჩვენი გამარჯვების ღირსეულობა. 2003 წლის ნაკრებში ყველა მორაგბე ვარსკვლავი იყო.

**— და მაინც, თქვენი აზრით, ვინ იყვნენ იმ ვარსკვლავურ გუნდში განსაკუთრებით გამორჩეულნი?**

— ჯონი უილკინსონი და მარტინ ჯონსონი. ჯონის ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა, ჯონსონი კი უდიდესი კაპიტანია იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე ინგლისისთვის უკაპიტნია.

**— დღეს ვინ მიგაჩნიათ ინგლისის ნაკრების ლიდერად?**

— ისევ და ისევ უილკინსონი, მან უნდა იტვირთოს ეს მისია, გვერდში კი გამოცდილი ლოურენს დალალიო ამოუდგეს.

**— ვის თვლით მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ?**

— ასეთი ორია, ახალზელანდელები დენი კარტერი და რიჩი მაკქოუ.

**— ერთი კითხვით ისევ მომავალ მსოფლიოს თასს დავუბრუნდეთ: როგორ ფიქრობთ, რომელი ნაკრები იქნება ტურნირის აღმოჩენა?**

— დიდ სიურპრიზს ველი არგენტინისგან. ეს გუნდი უკვე მომწიფდა საიმისოდ, რომ გრანდები გაამწაროს და პლეი ოფში შორს წავიდეს. ძალიან გამიხარდება, თუ საქართველოც შემოგვთავაზებს სიურპრიზს, ამის პოტენციალი კი ქართველებს ნაღდად გაქვთ.

**— წინა მსოფლიოს თასზე თქვენ საქართველოს წინააღმდეგ ითამაშეთ და გარკვეული წარმოდგენაც შეგექმნებოდათ ჩვენს გუნდზე.**

— ქართველებს მანამდეც დავუპირისპირდი, ოღონდ ეს საშკადკაცო ტურნირებზე იყო. წლებიც ზუსტად მახსოვს. პირველად 1997, მეორედ კი 1999 წელს ვითამაშეთ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს და ორივე მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ქართველები მართლაც ოსტატურად თამაშობდნენ. რაც შეეხება მსოფლიოს თასს, უპირველეს ყოვლისა, ქართველების ამტანობამ და ჟინმა გამაკვირვა. მერწმუნეთ, ფიზიკურად ასეთი მაგრად მომზადებული გუნდი ბევრი არ შეგვხვედრია. ჩვენ მხოლოდ მეორე ტაიმში შევძელით გამოუცდელი და დებიუტანტი ქართველების გატეხვა.

**— არასარაგბო საქართველოს იცნობთ?**

— გიასგან ვიცი, რომ საქართველო ღვინის ქვეყანაა, რადგან ფრანგებთან ამის გამო სულ კამათობს. ისიც მითხრა, ჩვენთან მთიანი რეგიონიც გვაქვს, ზამთრის ორი კურორტი გქონიათ, მე ღვინოს არ ვსვამ, ლუდი და თხილამურებით სრიალი მიყვარს და თუ ოდესმე გიას მიპატიჟებით საქართველოში ჩამოსვლა მომიწევს, ამას ზამთარში გავაკეთებ, თან თხილამურებსაც წამოვიღებ.



# ხაბარელმა სია გამოფინა

## იაპონელები უკვე თბილისში არიან

**შაბათ-კვირას** სპორტის სასახლე ძიუდოში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ევროპის ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლევანდელი სეზონი სწორედ ქართული მსოფლიოს თასით იხსნება, რაც ტურნირს პოპულარობას მატებს დასტურად ის განაცხადებებიც კმარა, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში უცხოური ფედერაციებიდან რომ მიიღეს.

გუშინ წინასატურნირო პრესკონფერენცია მოეწყო. ქართული ძიუდოს თავკაცებმა საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა კი შეგირდების მზადყოფნაზე. ამასთან, ის ოცდარვაკაციანი სიაც გაგვანდო, მსოფლიოს თასზე საჭიდაოდ რომ ამზადებს.

„თბილისის ტურნირი წლეულს 34-ედ ჩატარდება — განაცხადა ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ***შენგელი ფიცხელაურმა*** — მან სახელი და დიდება ჯერ კიდევ ადრეულ წლებში მოიპოვა. სპორტის სასახლის ტატამზე არაერთ ვარსკვლავს უჭიდავია და სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია არ ირღვევა. ამ შეჯიბრით 2007 წლის საერთაშორისო სეზონი იწყება და მასში მონაწილეობის სურვილი ოცამდე ქვეყნის ნაკრებმა გამოთქვა. რაც მთავარია, თბილისში მოდიან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი რუსეთი, ბრინჯაოს პრიზიორი საფრანგეთი და ძიუდოს დამაარსებელი იაპონია. ძლიერი შემადგენლობებით აპირებენ ჭიდაობას უკრაინა, ისრაელი, ესტონეთი და სხვები. ასე რომ, წინ ბრწყინვალე სანახაობა გველის. ევროპის ძიუდოს კავშირიდან ტურნირს საპატიო სტუმრები დაესწრებიან. მათ შორის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი სოლოვეიჩიკი და მსაჯთა კომიტეტის წარმომადგენელი ფრანგი ალენ ნალისი.“

მსოფლიოს თასის სამზადისი სპორტის სასახლეში უკვე დაწყებულია. ორგანიზატორების თქმით, მონაწილეებს და ძიუდოს სანახავად მისულთ ყველანაირი პირობა შეექმნებათ.

***დილარ ხაბულიანი** (ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი)*: „დარბაზში მოსული მაყურებელი უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩება. უძლიერესი უცხოელი და ქართველი ვარსკვლავების ჭიდაობის ცოცხლად ნახვა მათ მინიმალურ ფასად, ორ ლარად შეეძლებათ“.

საქართველოს ნაკრებს, როგორც ტურნირის მასპინძელს, თითოეულ წონით კატეგორიაში ოთხი ძიუდოისტის გამოყვანის უფლება აქვს. ***შოთა ხაბარელი*** საუკეთესოების გამოცდას გეგმავს:

„მოგეხსენებათ, წლეულს გაზაფხულიდან პეკინის ოლიმპიადის საგზურების გათამაშება იწყება. სალიცენზიო ტურნირებზე წასაყვანი ნაკრების ძირითადი ბირთვი თბილისური მსოფლიოს თასის შედეგებით დაკომპლექტდება. ტატამზე ეროვნული გუნდის ყველა წევრი და კანდიდატი გავა ტრავმირებული დავით ქევხიშვილის (73 კგ) და ვახტანგ ხოსიტაშვილის (60 კგ) გარდა“.

ხაბარელის გუნდმა წინასატურნირო შეკრება ვაკის დარბაზში ორი კვირის წინ დაიწყო. ქართველებთან ერთად ორი ტუნისელი და თითო ლიტველი და სერბი ძიუდოისტიც ვარჯიშობს. წუხელ კი თბილისში იაპონური დელეგაცია ჩამოფრინდებოდა.

მსოფლიოს თასის კენჭისყრა „შერატონ მეტეხი პალასში“ 26 იანვარს გაიმართება. 27-28-ში წინასწარი შეხვედრები დილის თერთმეტ საათზე დაიწყება, ფინალური ბრძოლები კი საღამოს ექვსი საათიდან გახურდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები თბილისის მსოფლიოს თასზე

60 კგ ნესტორ ხერგიანი, ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი, დავით ასუმბანი

66 კგ ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, სერგო ციხელაშვილი, სანდრო იაკობაშვილი

73 კგ გიგა ნიკლაური, დავით კობერიძე, დავით ბოდაველი, ბექა ბაიდაური

81 კგ გიორგი ბაინდურაშვილი, საბა გავაშელიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი

90 კგ ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე, მინდია ბოდაველი, სოსო მსხალაძე

100 კგ გიორგი ყიზილაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, რევაზ ჩიკოიძე, ნოდარ მეტრეველი

+100 კგ ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი, ლევან რაზმაძე







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ სახლი, მერე ევროპა

## აზოტი საქართველოს ერთიანად მოგებას აპირებს

ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ნათქვამია და რუსთაველების საქმეც ასეა. „აზოტი“ ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი გუნდის სახელით ყოველთვის სარგებლობდა და ოქროსთანაც არაერთხელ იყო ახლოს, მაგრამ ბოლო ნაბიჯის გადადგმა არასდროს გამოსვლია — ოთხი ფინალი წააგო. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოში რაც კი რამ თასი და მედალი თამაშდება, ყველაფერს რუსთაველები დაეპატრონებიან. ამის თქმის საფუძველს „აზოტის“ ძლევამოსილი თამაში გვაძლევს — ქვემოქართლელები ამ სეზონში არც ერთ ფრონტზე არ დამარცხებულან და ორი ტიტული — დუდუ დადიანისა და ქორქია-საკანდელიძის მემორიალური ტურნირები უკვე მოიგეს. წინ საქართველოს თასი და ჩემპიონობაა და რუსთაველებიც ორივეს მოგებას ეშურებიან. „აზოტის“ წარმატებების სულისჩამდგმელ დავით უსტიაშვილს გუშინ შევეხმიანეთ და ქორქია-საკანდელიძის თასის პერიპეტიებთან ერთად, ცხადია, მომავალ გეგმებზეც გავესაუბრეთ

— მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალმა კარგ ატმოსფეროში ჩაიარა. ტურნირს არც მაყურებელი აკლდა და ფინალიც საინტერესო გამოვიდა. ამ მემორიალისთვის ჩვენ განსაკუთრებით ვემზადებოდით და შედეგსაც მივაღწიეთ.

**— ისე ჩანდა, რომ „აზოტმა“ ძალიან იოლად მოიგო ეს ტურნირი...**

—მართალია, ფინალამდე სერიოზული მოწინააღმდეგე არ გვყოლია, მაგრამ „დინამოსთან“ და სტუ-სთან საკმაო ოფლისღვრა დაგვჭირდა ფინალის საგზურის მოსაპოვებლად. თსუ-სთან კი მართლაც სერიოზული გამოცდა გვქონდა. მართალია, საბოლოოდ დიდი ანგარიშით ვიმარჯვეთ, მაგრამ კარგა ხანს მეტოქე ტოლს არ გვიდებდა და კუდიდან არ გვშორდებოდა.

**— რის ხარჯზე იმარჯვეთ და კმაყოფილი თუ ხართ „აზოტის“ თამაშით?**

— გუნდმა ამოცანა შეასრულა, ტურნირი მოიგო და, ცხადია, კმაყოფილი ვარ. თუმცა, ვფიქრობ, რომ „აზოტს“ გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. შეცდომები ბლომად გვქონდა, მაგრამ, საბედნიეროდ მეტოქეებმა უფრო მეტი შეცდომა დაუშვეს და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა. წარმატების მთავარი მიზეზი კი, ალბათ დაცვაა. „აზოტის“ დაცვა თავდასხმაზე უკეთ ირჯებოდა და ეს უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა გასამარჯვებლად. ისე, ჩემი მიზანიც სწორედ დაცვითი თამაშის სრულყოფაა. სამუშაო ბევრი გვაქვს და მჯერა, რომ კიდევ უფრო მოვუმატებთ.

**— „აზოტმა“ ორი ტიტული უკვე მოიპოვა და თუ კიდევ გაძლიერდებით, დანარჩენ ტურნირებსაც იოლად მოიგებთ...**

— ჩვენი მიზანიც ესაა. ახლა თასისთვის ვემზადებით, რომელსაც ასევე რუსთავი უმასპინძლებს და იმედია, ამ ტიტულსაც გავუსინჯავთ გემოს. მთავარი მიზანი კი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობაა.

**— იმაზე რას იტყვით, რომ „აზოტი“ ჯერაც დაუმარცხებელია მიმდინარე სეზონში?**

— ეს ძალიან კარგია და ვეცდებით, ბოლომდე წაუგებლად მივიდეთ. თუ არ ვცდები, „ვითამ“ მოიგო ერთხელ ჩემპიონობა წაუგებლად და მაშინ მეც იქ ვთამაშობდი. ძალიან სასიამოვნო იქნება, თუკი ამას მწვრთნელის რანგშიც მოვახერხებ. თავად ის ფაქტი, წაუგებლები რომ ვართ, დამატებითი მოტივაციაა ჩვენი კონკურენტებისთვის. ყველა განსაკუთრებული მობილიზებით გვეთამაშება და ცდილობენ, ნავსი გატეხონ და პირველი დამარცხება გვაგემონ.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ „აზოტი“ ასეთი ამბიციური გახდა? შემადგენლობა არც ადრე აკლდათ რუსთაველებს, მაგრამ საწადელი ვერასოდეს აისრულეს...**

— გუნდის ხელმძღვანელობა ძალიან დაინტერესებულია და ყველანაირად მხარში გვიდგას. გუნდი მთლიანად მე მაბარია, ხელმძღვანელობა გუნდის მომზადებაში მთლიანად მენდობა და სამუშაოდ იდეალურ პირობებს გვიქმნის. შემადგენლობაც დაბალანსებული გვყავს და ასეთ შემთხვევაში წარმატებები რომ გვაქვს, რა გასაკვირია.

**— შემადგენლობა ახსენეთ და გაძლიერებას ხომ არ გეგმავთ? მით უფრო, რომ მეტოქეები აპირებენ ამას...**

— ამ ეტაპზე ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ, თუმც სხვები თუ ჩამოიყვანენ ლეგიონერებს, ალბათ, არც ჩვენ დავიხევთ უკან.

**— ახლახან შეიმატეთ დავით ბერძენიშვილი, რომელიც ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე დიდად არ ბრწყინავდა...**

— ბერძენიშვილი ძალიან გამოცდილი მოთამაშეა, თუმც კარგა ხანი გაუცდა და ჯერ სასურველ ფორმაში არაა. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს.

**— ამბობენ, „აზოტი“ ევროტურნირზე აპირებს გასვლასო...**

— მაგაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ჯერ ჩემპიონობა გვაქვს მოსაგები და ევროტურნირებზე მერე ვიფიქრებთ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

22 იანვარი

**ლეიკერსი 108:103 გოლდენ სტეიტი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (42), კუკი (13), ბინამი (10 ქულა, 15 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (30), ელისი (16), დევისი (15), პიეტრუსი (14)

**საკრამენტო 88:87 ნიუ ჯერსი**
საკრამენტო: არტესტი (21), ბიბი (16)
ნიუ ჯერსი: მური (22), კიდი (18 ქულა, 10 პასი, 10 მოხსნა)

**დენვერი 115:98 მემფისი**
დენვერი: ენტონი (28), აივერსონი (23), სმიტი (19), კემბი (17 ქულა, 17 მოხსნა)
მემფისი: გასოლი (23 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), ეტკინსი (15)

**მაიამი 101:83 ნიუ იორკი**
მაიამი: კაპონო (22), ჰასლემი (19 ქულა, 10 მოხსნა), პეიტონი (10 ქულა, 13 პასი)
ნიუ იორკი: კარი (26), კროუფორდი (23)

**კლივლენდი 79:90 ორლანდო**
კლივლენდი: ჯეიმსი (18), ჰიუზი (16)
ორლანდო: ჰილი (22), ჰოვარდი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**ინდიანა 98:91 ჩიკაგო**
ინდიანა: ონილი (22 ქულა, 10 მოხსნა), გრეინჯერი (19), არმსტრონგი (16 ქულა, 10 პასი)
ჩიკაგო: გორდონი (31), დენგი (18), ჰაინრიხი (14)

**ტორონტო 105:84 შარლოტი**
ტორონტო: ბოში (20), კალდერონი (19 ქულა, 11 პასი), ბარნანი (14)
შარლოტი: ვოლესი (19), ფელტონი (19), ოკაფორი (13)

**ბოსტონი 89:93 სან ანტონიო**
ბოსტონი: ვესტი (27), ჯეფერსონი (26 ქულა, 14 მოხსნა), გომესი (20)
სან ანტონიო: დანკანი (21), პარკერი (15), ჯინობილი (15)

**იუტა 106:91 მინესოტა**
იუტა: ოქური (28), უილიამსი (21 ქულა, 15 პასი), ბუზერი (18)
მინესოტა: დევისი (32), გარნეტი (17 ქულა, 11 მოხსნა)

## ჩვენ ყველას ვანახეთ
## ალენ და მელო შეთქმულან


AFP დენვერიდან

დენვერში დიდი ხანი ელოდნენ ამ დღეს. „ნაგიტსის“ ძველმა ლიდერმა კარმელო ენტონიმ ნიუიორკელებთან ჩხუბისთვის 15-მატჩა დისკვალიფიკაცია მოიხადა, მოედანზე დაბრუნდა და „ფილადელფიიდან“ ორიოდ კვირის წინ გადასულ ალენ აივერსონს შეუწყვილდა. ნბა-ს ორი მძლავრი მექულის პირველი ერთობლივი თამაში წარმატებული გამოდგა, ამისთვის ორივემ ყველაფერი გააკეთა, მერე კი დადგნენ და გაცისკროვნებული სახეებით კამერების წინ ერთმანეთს ქება და დიდება უძღვნეს.

კარმელო ენტონი — „ჩვენ ორივეს გვინდოდა, მთელი მსოფლიოსთვის დაგვენახვებინა, რომ ერთად თამაში შეგვიძლია. ვიცით, ბევრი ლაპარაკობდა ჩვენი შეუთავსებლობის შესახებ და ამ ხალხს ორივემ ერთად გავეცით პასუხი.“

ენტონიმ 28 ქულა მოაგროვა, აივერსონმა კი 23-ს 7 პასიც მოაყოლა და „დენვერმა“ იოლად აჯობა სუსტ „მემფისს“. ერთ ეპიზოდში აივერსონმა ენტონის ფართან ბურთი დაუკიდა, ამანაც დაიჭირა და ჩატენა. ნამატჩევს ორივე ამ ეპიზოდს იხსენებდა იმის დასამტკიცებლად, რომ მათგან მართლაც კარგი წყვილი გამოვიდა. „არ იყო კარგი პასი — თავს იმართლებდა აივერსონი და იქვე თანაგუნდელის ოსტატობას ასხამდა ხოტბას — მაგრამ მელომ მაინც დაიჭირა და ჩატენა და ამით კარგად ჩანს, რა მძლავრი ათლეტია.“

აივერსონს არც ენტონი ჩამორჩა — „იმდენად მინდოდა ალენის პასის დაჭერა, რომ იმსიმაღლეზე ადრენალინმა ამისროლა.“

ალენ-მელოს დუეტი, ასე ვთქვათ, გარეშე პირმაც აქო. დამარცხებული „მემფისის“ ლიდერმა პაუ გასოლმაც აღნიშნა, ერთად კარგად გამოიყურებოდნენო: „ერთმანეთს თამაშს უადვილებდნენ და ეს სიამოვნებდათ კიდეც. საინტერესოა, მთელი სეზონის განმავლობაში თუ შეინარჩუნებენ ამგვარ სიამტკბილობას. ასე თუ გააგრძელეს, ძალიან საშიშები გახდებიან. მათგან ერთის დევნაც ძნელია და თუ ორივე გაერთიანდა...“

ამ სეზონის შუაწელს ნბა-ში სხვა არაერთი გადასვლ-გადმოსვლა მოხდა, თუმცა ბუნებრივია, ყველა წარმატებული და გამარჯვების მომტანი ვერ იქნება. მაგალითად, „გოლდენ სტეიტ ვორიოზმა“ „ინდიანასთან“ გაცვლების შემდეგ რამე მოიგო თუ არა, ძნელი საკითხავია. „ლეიკერსთან“ შეხვედრაში მისი ნაინდიანარი ახალწვეულები — ალ ჰარინგტონი და სტივ ჯეკსონი რიგიანად გამოიყურებოდნენ, მწვრთნელმა დონ ნელსონმა ორივე ძირითად უხთეულში ათამაშა და წარმატებითაც — პირველმა 30 ქულა ჩააგდო, მეორემ კი 13, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და „მეომრებმა“ ზედიზედ მესამედ წააგეს. მაგრამ ყველაფერს ჯეკსონ-ჰარინგტონს, აგრეთვე სათადარიგოებში გადასროლილ და ახლა მხოლოდ 11 წუთით ნათამაშებ (4 ქულა) შარუნას იასიკევიჩიუსს ვერ დავაბრალებთ. „გოლდენ სტეიტს“ მძლავრი მეტოქე შეხვდა — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, რომლის ლიდერმა კობი ბრაიანტმა 42 ქულა დაატეხა თავს.

რაც შეეხება „გლდენ სტეიტთან“ წილ და მოთამაშეებნაყარ „ინდიანას“, ამ გუნდზე ახალი კალათბურთელები ჯერ ნამდვილად არ ახდნენ ცუდ გავლენას, მაგრამ არც თვალისმომჭრელად კაშკაშებენ. „ჩიკაგოსთან“ დაძაბულ ბრძოლაში მოგებულ მატჩში მაიკ დანლივიმ ახალ გუნდს 13 ქულა შესძინა, ტროი მერფიმ კი მხოლოდ 7.

„ჩიკაგო“ კი ნამდვილად ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, არადა წესით, რიგით და გათვლებით აღმოსავლეთის კონფერენციას მაინც უნდა აზანზარებდეს. სეზონის დაწყებამდე „დეტროიტიდან“ ნბა-ს ოთხგზის საუკეთესო დამცველ ბენ ვოლესის გადმოსვლას იმხელა აჟიოტაჟი ახლდა, ხალხმა, იფიქრა, ჩიკაგოში ჯორდანისდროინდელი ბედნიერი დროება ბრუნდებაო, მაგრამ „ხარები“ ჯერ მხოლოდ საშუალებში ტკეპნიან ადგილს. გუნდის ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ ახალ გაცვლებზე და თვალი ზემოთ სულ სვა კონტექსტში ნახსენებ პაუ გასოლს დაადგეს. ჭორებს თუ დავუჯერებთ, „ჩიკაგო“ მზადაა, „მემფისს“ ესპანელი მეფარის ნაცვლად ორი საუკეთესო მოთამაშე — ბენ გორდონი და ლუოლ დენგი დაუთმოს.

ცვლილებებს პროგნოზირებენ „ნიუ ჯერსიშიც“ ამ კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, ჩვენს შემადგენლობაში ხელშეუხებელი არავინაა, თუ ვინმეს რომელიმე მოთამაშე გსურთ, მოდით და თქვენი „ფასი“ თქვითო. ასე რომ, არაა გამორიცხული, „ნიუ ჯერსის“ კარი აუტალახონ ჯეისონ კიდისა და ვინს კარტერის მთხოვნელებმა. მასობაში კი კიდმა „საკრამენტოსთან“ ბოლო წამებზე წაგებულ თამაშში თავისი საქმე აკეთა და სეზონში მერვე, კარიერაში კი 83-ე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**კოტე ყორშია**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი
**კერონ ბატლერი (ვაშინგტონი)**




## დასავლეთი
**სტივ ნეში (ფინიქსი)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთში „ფინიქს სანზის“ გამთამაშებელი სტივ ნეში, აღმოსავლეთში კი „ვაშინტონ ვიზარდსის“ ფორვარდი კერონ ბატლერი დასახელდნენ.

წინა ორი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და წლეულსაც ამ ტიტულის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი ნეში მიმდინარე რეგულარულში მეორედ სახელდება დასავლეთის გამორჩეულ კალათბურთელად და ეს არავის უკვირს. მისმა „ფინიქსმა“ რომ ზედიზედ 13 თამაში მოიგო, ეს პირველ რიგში სწორედ სუპერკანადელის დამსახურებაა. ნეშმა წინა კვირას ოთხ მატჩში საშუალოდ 15,5 ქულასთან ერთად 13,8 პასიც გააკეთა და, ბუნებრივია, რომ მისმა გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო.

კარგი კვირა ჰქონდა კერონ ბატლერსაც, რომელიც მხოლოდ იმიტომ ვერ ხდება ნბა-ს დიდვარსკვლავი, რომ „ვაშინგტონში“ ჯილბერტ არენასი ჩრდილავს. ამ სეზონში არენასი სამჯერ დაეპატრონა კვირის რჩეულის წოდებას, ახლა კი ეს პატარა ტიტული ბატლერსაც შეხვდა, რომელმაც წინა კვირის 4 თამაშში საშუალოდ 23,0 ქულა, 7,5 მოხსნა, 6,0 პასი და 2,8 ჩაჭრა იხვეჭა და „ვიზარდს“ ოთხივეს მოგებაში წააშველა ხელი.

კვირის სიმბოლური ხუთეული: სტივ ნეში (ფინიქსი), ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი), კერონ ბატლერი (ვაშინგტონი), დირკ ნოვიცკი (იუტა), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 20 | 21 | 48,8 |
| ტორონტო | 20 | 22 | 47,6 |
| ნიუ იორკი | 18 | 25 | 41,9 |
| ბოსტონი | 12 | 28 | 30,0 |
| ფილადელფია | 11 | 30 | 26,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 23 | 16 | 59,0 |
| კლივლენდი | 24 | 17 | 58,5 |
| ჩიკაგო | 23 | 19 | 54,8 |
| ინდიანა | 21 | 20 | 51,2 |
| მილუოკი | 17 | 23 | 42,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 24 | 16 | 60,0 |
| ორლანდო | 23 | 19 | 54,8 |
| მაიამი | 19 | 22 | 46,3 |
| შარლოტი | 14 | 26 | 35,0 |
| ატლანტა | 13 | 25 | 34,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 34 | 8 | 81,0 |
| სან ანტონიო | 30 | 13 | 69,8 |
| ჰიუსტონი | 25 | 16 | 61,0 |
| ნიუ ორლეანი | 16 | 23 | 41,0 |
| მემფისი | 10 | 32 | 23,8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 28 | 14 | 66,7 |
| დენვერი | 21 | 17 | 55,3 |
| მინესოტა | 20 | 20 | 50,0 |
| პორტლენდი | 17 | 25 | 40,5 |
| სიეტლი | 16 | 25 | 39,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 32 | 8 | 80,0 |
| ლეიკერსი | 27 | 15 | 64,3 |
| კლიპერსი | 19 | 21 | 47,5 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 23 | 45.2 |
| საკრამენტო | 16 | 23 | 41,0 |

# ნაბიჯი წინ და ისევ უკან?

## ფინანსური რეგრესი სპორტული პროგრესის ფონზე

**უცნაურია, საქართველოში სპორტულ ფედერაციათა პრეზიდენტის სავარძლის ხელში ჩასაგდებად ერთნი ნემსის ყუნწში ძვრებიან, მეორეებს იმ კაბინეტში (თუ კი ასეთი არსებობს) ქუდი რომ შეუგდო, არ შევლენ, ზოგი იქ მოხვედრილი კი უკან მოუხედავად გამორბის. ამიტომაც ზოგი ფედერაცია პრეზიდენტს ხელთათმანივით იცვლის... ამას წინათ კიდევ ერთი ფედერაცია დარჩა უპრეზიდენტოდ. საუბარია ცურვის ფედერაციაზე, რომელიც საკუთრივ ცურვის გარდა სინქრონულ ცურვას, წყალბურთსა და წყალში ხტომას აერთიანებს**



ირაკლი ბართაია

— ამჟამად საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის, როგორც ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვეტერანი წყალბურთელი დავით რურუა ხელმძღვანელობის, თან ყველანი ახალი მეთაურის ძებნაში ვართ — გვეუბნება ფედერაციის გენერალური მდივანი *ირაკლი ბართაია* — მოგეხსენებათ, ჩვენს ფედერაციას ბოლოს გიორგი უდესიანი ხელმძღვანელობდა, მაგრამ შარშანდელი წლის ბოლოს გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა.

— რატომ გადადგა?

— ვერ გეტყვით, მიზეზი არ უთქვამს, მაგრამ შევატყვე, რომ ეს ნაბიჯი დიდი გულისტკივილით გადადგა. ეს ჩვენთვისაც ძალიან საწყენი იყო, რადგან იგი მუდამ მხარში გვედგა და ძალიან გვეხმარებოდა, თუმცა იქვე „დაგვაიმედა“, მივდივარ, მაგრამ კვლავ თქვენთან მიგულეთ და როგორც შემეძლება, დაგეხმარებითო. ახლა გვინდა, გავერკვეთ, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა უდესიანის ხათრით გაუმჯობესდა, თუ საწყლოსნო სახეობებზე ზრუნვით.

— მერედა, რა მოჰყვა თქვენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას?

— „სარბიელიც“ და სხვა გაზეთებიც ბევრს წერდნენ წინგადადგმულ ნაბიჯებზე. ფინანსური უზრუნველყოფისა და განახლებული ვაკის აუზის წყალობით, სადაც ჩვენს წყალში მხტომელებს ვარჯიშის იდეალური პირობები შეექმნათ, ამ სახეობაში საკმაოდ დავწინაურდით. ჩვენმა უმცროსი ასაკის მხტომელებმა საერთაშორისო ტურნირებზე ორი-სამი წლით უფროსებთან ბრძოლაში არაერთი მედალი მოიპოვეს. ჭოლა ჭანტურიამ და გიორგი გევორქიანმა, რომლებსაც ახალგაზრდულ შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება ჯერ კიდევ აქვთ, სინქრონულ ხტომებში ისეთი რთული პროგრამა აითვისეს, რომ დიდებსაც შეშურდებათ. ასეთი რთული პროგრამა უცხოელთაგან კიდევ სამოთხ წყვილს თუ აქვს. ამიტომაც იმის დროც მოვიდა, რომ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მათ მედლებისთვისაც იბრძოლონ. ჩვენ ამის რეალურ შანსს ვხედავთ. ამ ბიჭებს მოჰყვება მათზე უმცროსი შოთა კორხაშვილი, სამივეს კი ზურგს უმაგრებს ჩვენი ნორჩი წყალში მხტომელების ახალი ტალღა, რომლებისაც სამომავლოდ ძალიან გვეიმედება, განსაკუთრებით ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის. დღეს თუ საპეკინო ოლიმპიურ ლიცენზიებზე ვფიქრობთ, ლონდონისთვის მედალს უნდა დავუმიზნოთ.

ჩვენს ასეთ პროგრესს უკვე უცხოეთშიც ხედავენ და აღიარებენ. აქამდე თუ იქით ვთხოვდით შეჯიბრებებში მონაწილეობას, ახლა დიდი ხნით ადრე გვიწვევენ, თანაც ისეთ შეჯიბრებებში, სადაც წყალში მხტომელთა მსოფლიოს უძლიერესი სკოლების წარმომადგენლები— ამერიკელები, გერმანელები, ჩინელები, იტალიელები თუ რუსები გამოდიან. გერმანელთაგან წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მოწვევა ჯერ კიდევ შარშან მივიღეთ. გვწერდნენ, ჩამოდით, იქ ჩინელებიც გამოვლენო...

ჩვენი პროგრესი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ წყალში ხტომის საერთაშორისო ფედერაციაშიც, თუმცა ფინას ვებგვერდზე და „სპორტ ექსპრესში“ ოლიმპიური ჩემპიონის ელენე ვოიცეხოვსკაიას მიერ გამოქვეყნებული საქებარი სტატიების თაობაზე ხომ „სარბიელიც“ იუწყებოდა...

**— მაგრამ თქვენ ხომ საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი ხართ, ცურვასა და წყალბურთზე კი არაფერი გითქვამთ...**

— ამ სახეობებზეც იგივე ითქმის. ბოლო წლებში ხომ ჩვენი წყალბურთელები ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებში სისტემატურად გამოდიან, რაც სანატრელი გვქონდა. მოცურავეებმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. ამიტომაც ჩვენი უმცროსი ასაკის მოცურავეები ირაკლი რევიშვილი და ანა სალნიკოვა, აგრეთვე წყალში მხტომელები ჭანტურია და გევორქიანი მელბურნში, უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, როგორც პერსპექტიული, იმედის მომცემი სპორტსმენები, საერთაშორისო გრანტით მიიწვიეს.

**— ეს მსოფლიოს ჩემპიონატი პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო იქნება. მაინც რას ვარაუდობთ, რამდენი ოლიმპიელი გვეყოლება?**

— წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ თორმეტ ლიცენზიას გამოუჩნდება პატრონი. მათ შორის ჩვენი მოხვედრა [illegible] მოუდგენელია. მაგრამ სალიცენზიო იქნება გაისად გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშება, სადაც პეკინის საგზურს უკვე 22 სპორტსმენი დაეუფლება. აი, იქ კი მიზნის მისაღწევად უნდა ვიბრძოლოთ. საუბარია წყალში ხტომაზე, თუმცა მოცურავეთა ამგვარი მიზნისთვისაც მთავარი საგაისო მსოფლიო თასი იქნება. ვფიქრობ, ერთ-ორ ლიცენზიას დავეუფლებით. რაც შეეხება წყალბურთს, ჩვენთვის იქ საპეკინოდ ყველაფერი დამთავრებულია და ახლა მზერა ლონდონის თამაშებს უნდა მივაპყროთ. ისიც საფიქრელია, რომ ლიცენზიებზე კი ვლაპარაკობთ, მაგრამ ახლა ისეთი პირი უჩანს, ჩვენი ფედერაციის ფინანსური უზრუნველყოფის საქმე აღმასვლის ნაცვლად, დაღმა მიიწევს. ამიტომაც ძალიან საეჭვოა, რომ ყველა იმ შეჯიბრებაში გამოვიდეთ, რომლებიც ჰაერივით გვჭირდება. ლუხჭირი ყოფის გამო ქამრებს სულ უფრო ვუჭერთ. მაგრამ შეჯიბრებებში მონაწილეობის პროგრამა-მინიმუმსაც კი ვერ ვიცავთ. მაგალითად, წლევანდელი გრანპრის სერიით გასამართი 8 ეტაპიდან სამში მაინც გვინდა გამოსვლა, მაგრამ...

არადა, ჩვენი მეტოქენი ჩვენთან შედარებით უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. მაგალითად, უკრაინა, რომელიც წყალში ხტომაში მსოფლიო ლიდერი არაა, ფინანსურად ერთ-ერთ გაჭირვებულად ითვლება, მაგრამ წელიწადში მხოლოდ ტურნირებზე გამოსასვლელად მილიონ-ნახევარი ლარის ექვივალენტს ხარჯავს, ჩვენ კი... თქმაც მრცხვენია...

**— მაგრამ ფედერაციამ, როგორც ეს უცხოეთშია, უპირველეს ყოვლისა, ხომ თავად უნდა იზრუნოს დაფინანსების წყაროებზე, სპონსორებზე...**

— იქ, ზემოთ სხვებიც ამას გვეუბნებიან, მაგრამ უცხოეთში, ჩვენგან განსხვავებით, აქვთ კანონი, რომელიც სპორტის დამფინანსებელ სპონსორებს საამისო სტიმულს აძლევს, ჩვენთან კი ამაზე მხოლოდ საუბარია, რომელიც წლიდან წლამდე გრძელდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ძმა ძმის კვალზე

## კენენისამ ტარიკუსაც ზურგი აჩვენა

**რაც მეტს** დარბის, მით მეტად მტკიცდება, რომ კენენისა ბეკელეს გრძელ დისტანციებზე ბადალი არ ჰყავს. მსოფლიოს უძლიერესმა სტაიერმა ედინბურგში ლამაზი გამარჯვებიდან ერთ კვირაში სევილიაში 10-კილომეტრიანი კროსი მოიგო და პირველი მძლეოსანი გახდა, ვინც ამ ულამაზესი ანდალუზიური ქალაქის შემოგარენი მესამედ დალაშქრა. იქ მან 2003 და 2004 წლებშიც გაიმარჯვა, მერე კი აღარ ჩასულა. საერთოდაც, მთელ სამძლეოსნო სამყაროს ერთი კითხვა აწუხებს: როდის წააგებს ეს ეთიოპიელი ანტილოპა? მარტივი კითხვაა, მაგრამ პასუხის გაცემაა ძნელი — ბეკელემ ზედიზედ 30-ე(!) კროსი მოიგო და მისი შემხედვარე ვერც იფიქრებ, რომ ეს გამარჯვებები მობეზრდა. პირიქით, ის სულ მეტი აზარტითა და მონდომებით დარბის და არავის ზოგავს, საკუთარ ძმასაც კი.





გელეტე ბურკა

რა გასაკვირია და, ბეკელეთა ოჯახში კენენისა ერთადერთი მძლეოსანი არ გახლავთ. მისი უმცროსი ძმა ტარიკუც დარბის და საკმაოდ წარმატებითაც. რევალიის კროსის დღეს ტარიკუს 20 წელი შეუსრულდა და ძალიანაც სურდა, ეს მრგვალი იუბილე ლამაზი გამარჯვებით აღენიშნა. ყოჩაღადაც ირბინა და დისტანციის ნახევრის გარბენის შემდეგ, უხეირო კონკურენტები უკან რომ დარჩნენ, ის კიდევ კარგა ხანს ძმასთან შეხმატკბილებულად მირბოდა, მაგრამ ტარიკუ ბეკელეს საჩუქრად მხოლოდ მეორე ადგილი შეხვდა — მან ვერ გაუძლო უფროსი ძმის ტემპს, ბოლო კილომეტრზე ჯერ 20, შემდეგ კი 50 მეტრითაც ჩამორჩა. კენენისამაც არ დააგდო ტემპი, რის გამოც ბევრმა იქნებ უსაყვედუროს, მაინც ყველაფერს იგებ და ეს გამარჯვება პატარა იუბილარი ძმისთვის უნდა გეჩუქებინა.





კენენისა ბეკელე

მაგრამ კენენისა პროფესიონალი მორბენალია, მისი საქმე სხვისი ძლევაა და ამ შემთხვევაში უმცროსი ძმაც „სხვა“ გახლდათ. უფროსმა ბეკელემ მხოლოდ მაშინ შეანელა ფეხი, როცა ცხადი გახდა, რომ უმცროსი ველარ დაეწეოდა და დაახლოებით 15-17 მეტრით ანუ 2 წამის ინტერვალამდე მოუშვა ტარიკუ.

საბოლოოდ კენენისამ 10,8-კილომეტრიანი გრუნტიანი დისტანცია 31 წუთსა და 5 წამში დაფარა. მეორე მისი ძმა იყო, მესამე კი — კენიელი აბრაამ ჩები (31:30), რომელმაც ერთადერთმა შეძლო ეთიოპიელთა ერთფეროვან დავაში არაეთიოპიური დროშის აფრიალება და პირველ ხუთეულში ოთხ ეთიოპიელს შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

ეთიოპიელმა მოიგო სევილიური კროსის ქალთა 6-კილომეტრიანი განაკვეთიც. გელეტე ბურკამ ეს დისტანცია 21 წუთსა და 14 წამში დაფარა.

**კოტე ყორშია**



# ბოლოდან დანახული პერსპექტივა

**გუშინ** ბულგარეთიდან დაბრუნდა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები, რომელიც ქალაქ გაბროვოში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო მატჩში მასპინძლებთან დამარცხდა — 21:24 და, სამწუხაროდ, ოთხგუნდა ჯგუფში ბოლო ადგილზე დარჩა.

არადა, თუნდაც ფრის შემთხვევაში ჩვენი გუნდი ცხრილში ერთი პოზიციით მაღლა დადგებოდა, თუმც მესამე-მეოთხეობა რა ბედენაა, ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან ხომ მხოლოდ ორი საუკეთესო გადიოდა, საგზურები კი რუმინელმა და ლატვიელმა ხელბურთელებმა მოიპოვეს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი *მერაბ მეტრეველი* გაბროვოულ მატჩსა და გუნდის სამომავლო პერსპექტივაზე გვესაუბრა:

— გაბროვოს საპასუხო შეხვედრაში ორივე გუნდის მოთამაშეები გამოფიტულები ჩანდნენ. მით უმეტეს, ხელჩაქნეულები, რადგან პლეი ოფის შანსი დაკარგული იყო და ერთი სული ჰქონდათ, წვალება მალე დაესრულებინათ. მართლაც, როგორია ოც დღეში ექვსი თამაში, თანაც სამ ქვეყანაში ვოიაჟი, როცა ხეირიანად მომზადებაზე მეტად იმას ფიქრობ, რომ თვითმფრინავიდან თვითმფრინავამდე მიასწრო და სათამაშო ადგილზე დროულად ჩახვიდე.

— უშუალოდ დასკვნით თამაშზე ბევრი არაფერია სათქმელი. თითქმის მთელი პირველი ტაიმი ერთი-ორი ბურთით ჩვენ ვიყავით წინ. მატჩის ბედი შესვენების შემდეგ რამდენიმე საწყის წუთში გადაწყდა, როცა ერთბურთიანი უპირატესობისას — 12:11, ჩვენი უმთავრესი სენის, ნაჩქარევი და უზუსტო შეტევების მიზეზით რამდენჯერმე უაზროდ დავკარგეთ ბურთი და ხუთიოდ წუთში მიყოლებით ხუთი გოლი გავუშვით.

— თავის მართლება არაა, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ამ სპრინტერული გრაფიკით ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით, რადგან სამი წამყვანი ტრავმირებული მოთამაშის — სერგო დათუკაშვილის, ტიტე კალანდაძისა და რატი მსხვილიძის მორჩენას ორიოდე კვირა კი არა, რამდენიმე თვე სჭირდება.

— წაგებული ბრძოლის მერე მუშტების ქნევა უაზრობაა, თუმც მაინც მინდა აღვნიშნო, რომ უძლიერესი შემადგენლობით გამოსვლის შემთხვევაში რეალური საპლეიოფო შანსი გვექნებოდა, ლატვიელებზე არანაკლები. თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ლიდერი, შვედეთში მოთამაშე დათუკაშვილი ხელბურთელთა ნაკრებისთვის ისეთივე ძალაა, როგორც კალათბურთელებისთვის ზაზა ფაჩულია.

— კარგია, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაცია მიხვდა ახლანდელი შესარჩევი სისტემის აბსურდულობას და მომავალი ციკლიდან შესარჩევი ტურნირი ფეხბურთის მსგავსად, მთელი წელი გაგრძელდება. ეს კი ჩვენთვის ლამის იდეალური ვარიანტია, რადგან მოგვეხსნება კოშმარად ქცეული საიანვრო თავსატეხი — თბილისის ვეება სპორტის სასახლის გათბობისა და დაუმტკიცებელი ბიუჯეტის გამო უფულობის პრობლემები.

— მთავარი ისაა, რომ გამოჩნდა ნაკრების პერსპექტივა, საიმისო პოტენციალი, რომ სათანადო ხელშეწყობის პირობებში ორი წლის შემდგომ მორიგ ციკლში რეალურია ევროსარბიელზე წარმატებით გამოსვლა.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს XX ჩემპიონატი

კაცები. გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი

**A ჯგუფი**

ქუვეითი 39:27 გრენლანდია
სლოვენია 34:27 ტუნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 102:71 | 6 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 97:77 | 4 |
| ქუვეითი | 1 | 0 | 2 | 85:94 | 2 |
| გრენლანდია | 0 | 0 | 3 | 68:110 | 0 |

**B ჯგუფი**

უკრაინა 37:18 ავსტრალია
ისლანდია 32:24 საფრანგეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 106:76 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 103:63 | 4 |
| უკრაინა | 2 | 0 | 1 | 90:79 | 4 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 3 | 48:129 | 0 |

**C ჯგუფი**

პოლონეთი 27:25 გერმანია
არგენტინა 22:20 ბრაზილია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 87:63 | 6 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 84:69 | 4 |
| არგენტინა | 1 | 0 | 2 | 57:81 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 3 | 65:80 | 0 |

**D ჯგუფი**

ეგვიპტე 35:24 ყატარი
ესპანეთი 35:29 ჩეხეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 109:76 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 97:88 | 4 |
| ეგვიპტე | 1 | 0 | 2 | 94:88 | 2 |
| ყატარი | 0 | 0 | 3 | 65:113 | 0 |

**E ჯგუფი**

უნგრეთი 34:31 ანგოლა
დანია 27:25 ნორვეგია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 89:82 | 6 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 95:75 | 4 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 2 | 88:65 | 2 |
| ანგოლა | 0 | 0 | 3 | 64:114 | 0 |

**F ჯგუფი**

კორეა 32:19 მაროკო
ხორვატია 32:27 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 108:72 | 6 |
| რუსეთი | 1 | 1 | 1 | 94:83 | 3 |
| კორეა | 1 | 1 | 1 | 87:92 | 3 |
| მაროკო | 0 | 0 | 3 | 60:102 | 0 |

## რეგულარული ჩემპიონატი

# გრეცკი, ლემიე და... კროსბი?

## პატარა სიდის პირველი ოლ სტარი



„მე ყოველთვის მათ შორის ვიქნები, ვინც ამბობს, რომ მეორე უეინ გრეცკი აღარ არის და არც არასდროს იქნება, მაგრამ უეინთან შედარება ყოველთვის დიდი პატივია" — არაერთხელ უთქვამს სიდნი კროსბის იმ ჟურნალისტებისთვის, 19 წლის კანადელს „დიად ვინმეს" რომ ადარებენ.

შეიძლება, კროსბის სჯეროდეს, რომ მეორე გრეცკი აღარ იქნება, მაგრამ მასთან შედარებას მაინც ვერ ასცდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი გახდა, სეზონში 100-ქულიან ზღვარს რომ გადააბიჯა, ახლა კი ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.

გრეცკიმ 27 წლის წინ ჰოკეიში ახალი სიტყვა თქვა და იქიდან მოყოლებული ამ სპორტის სახედ იქცა. კროსბის იქამდე ბევრი უკლია, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ნჰლ-ის ყველაზე პოპულარული მოთამაშეა. ეს, იმითაც დამტკიცდა, რომ წლევანდელი ოლსტარის სასტარტო ხუთეულების არჩევისას გულშემატკივრებმა ყველაზე მეტი ხმა სწორედ „პატარა სიდის" მისცეს. ის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იქნება, ყველა ვარსკვლავის შეხვედრაში რომ ითამაშებს.

პოპულარობა იქით იყოს და ბევრის აზრით, კროსბი უკვე არის ნჰლ-ის საუკეთესო ჰოკეისტი. 19 წლის კანადელი ამას თავისი შედეგიანობითაც ამტკიცებს — როგორც ითქვა, 43 შეხვედრაში დაგროვილი 72 ქულით ბომბარდირთა სიას ლიდერობს. და თუ სიდნიმ ამ სეზონის მეორე ნახევარიც ისე ჩაატარა, როგორც შარშან გაიარა დროის ეს პერიოდი (საშუალოდ მატჩში ორი ქულა), მაშინ 1996 წლისა და „სუპერმარიო" ლემიეს შემდეგ პირველი იქნება, 160 ქულიან ზღვარს რომ მიუკაკუნებს.

არადა, გრეცკის წასვლის შემდეგ თამაში მნიშვნელოვნად შეიცვალა — გაცილებით დაცვითი სტილის გახდა, თუმც კროსბის მაჩვენებლები „დიადი ვინმეს" საწყისი სეზონების შედეგებს მაინც უახლოვდება.

ახლა სიდი ხვალ გასამართი თავისი პირველი ოლსტარისთვის ემზადება. სხვათა შორის, გრეცკიმ ყველა ვარსკვლავის მატჩზე პირველად გამოჩენისას ყინული უქულოდ დატოვა, ლემიემ კი 1985 წელს კალგარიში 2 შაიბა გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემაც გააკეთა, რისი წყალობითაც მატჩის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. საინტერესოა, რომელი გზით წავა კროსბი — გრეცკოვით ინელოვ[illegible]ლებს თუ ლემიეს მიბაძავს და აქაც გაიბრწყინებს.

შეიძლება, მეორე გრეცკი ან ლემიე აღარ დაიბადოს, მაგრამ იქნება კროსბი... თუმცა დაველოდოთ და ვნახოთ...

**კახა ლომაშვილი**

# გასული კვირის ვარსკვლავები



დევიდ ლეგვანდი

**ევგენი მალკინმა** თავის ნჰლ-ურ კარიერაში პირველი აღიარება დაიმსახურა. 20 წლის რუსი კვირის ვარსკვლავებში მოხვდა, თუმც ჯერჯერობით მხოლოდ მესამე ნომრად. მასზე წინ კი „ნეშვილის" თავდამსხმელი დევიდ ლეგვანდი და „დალასის" კარის დარაჯი მარტი ტურკო არიან.

26 წლის ლეგვანდმა გასულ შვიდდღეულში თავისი გუნდის სამ შეხვედრაში გამარჯვების გოლები გაიტანა, ხოლო „ჩიკაგოსთან" სულაც კარიერაში პირველი ჰეთ თრიკი შეასრულა. ლეგვანდს, რომელიც მთელი კარიერა „ნეშვილში" თამაშობს, უკვე 97 შაიბა დაუგროვდა და გუნდის მცირეხნიან ისტორიაში საუკეთესო სნაიპერადაც იქცა.

მაიკ მოდანოს, ბრენდან მოროუსა და ერიკ ლინდროსის არყოფნაში მარტი ტურკო „დალასის" მთავარ იმედად იქცა. კანადელმა კიპერმაც არ დაალალატა ტეხასელები და თავისი ბრწყინვალე თამაშით გუნდს სამივე შეხვედრა მოაგებინა, რომლებშიც საშუალოდ 1,30 შაიბას უშვებდა და დარტყმათა 94 პროცენტს იგერიებდა.

მალკინმა კი გასულ კვირას 8 ქულა (2+6) მოიხვეჭა. რუსისგან განსაკუთრებით „ტორონტო" დაზარალდა, რომელთან შეხვედრაშიც მალკინმა ჯერჯერობით თავისი ყველაზე შედეგიანი შეხვედრა ჩაატარა და პარტნიორებს ხუთჯერ საგოლედ უპასა.

**კახა ლომაშვილი**

# ლიგის ლიდერები

**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 72 (24+48); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 66 (30+36); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 65 (29+36); დენი ჰითლი (ოტავა) 65 (30+35); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 65 (30+35); მარიან ჰოსა (ატლანტა) 63 (30+33); მარკ სავარი (ბოსტონი) 62 (18+44); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 60 (13+47); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 60 (18+42); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 59 (30+29); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 57 (18+39); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 56 (24+32).

**გოლეადორები:** ლეკავალიე, სენ ლუი, ჰითლი, ჰოსა, სელიანე 30-30; ოვეჩკინი 29; ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი) 27; ევგენი მალკინი (პიტსბურგი), კროსბი, ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი), ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო), ილია კოვალჩუკი (ატლანტა), კრის დრური (ბუფალო) 24-24.

**ასისტენტები:** კროსბი 48; ტორნტონი 47; სავარი 44; იაგრი 42; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 40; ბრიარი, როდ ბრინდამორი (კაროლინა) 39-39; მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 38; პოლ კარია (ნეშვილი) 37; ოვეჩკინი, სენ ლუი 36-36; ჰითლი, ლეკავალიე, ენდი მაკდონალდი (ანაჰაიმი) 35-35.

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 30; ტომ პრეისინგი (ოტავა) 28; ვანეკი, დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 26-26; დეიმონდ ლენგკოუ (კალგარი), რომან ჰამრლიკი (კალგარი) 22-22; კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 21; რობინ რეგერი (კალგარი), ჯეისონ პომინვილი (ბუფალო), დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 20-20; ჰითლი, კრის კუნიცი (ანაჰაიმი), კრის კელი (ოტავა) 19-19.

### მეკარეები

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,01; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,03; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,17; ვესა ტოსკალა (სან ხოსე) 2,25; მარტინ ტურკო (დალასი) 2,26; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,27; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,28; კრის მეისონი (ნეშვილი) 2,31.

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** მეისონი 93,0; ბროდო 92,8; ჟიგერი 92,4; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,3; კიპრუსოფი 92,1; რეი ემერი (ოტავა) 92,0; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 91,8; ნაბოკოვი 91,6; ტომაშ ვოკოუნი (ნეშვილი) 91,6.

**მოგებული მატჩები:** ბროდო 29; ლუონგო 27; ჰაშეკი 25; რაიან მილერი (ბუფალო), კიპრუსოფი, ტურკო 24-24; ჟიგერი 23; კარი ლეჰტონენი (ატლანტა) 22; ემერი, მენი ფერნანდესი (მინესოტა) 21-21.

**შათაუტები:** ბროდო 8; კიპრუსოფი, ჰაშეკი 6-6; ნეისონი 5; ჟიგერი, ემერი, ლეჰტონენი, ტურკო, რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 4-4; ტოსკალა, დუეინ როლოსონი (ედმონტონი), ლუონგო, ნაბოკოვი, მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 3-3.

## ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი
## 15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

# კეტი მაგას, კეტი!




AFP მელბურნიდან

23 იანვარი

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტომი რობრედო (7, ავსტრალია) 6:3 7:6 7:5; ენდი როდიკი (6, აშშ) — მარდი ფიში (აშშ) 6:2 6:2 6:2

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

სერენა უილიამსი (აშშ) — შაჰარ პეერი (16, ისრაელი) 3:6 6:2 8:6; ნიკოლ ვაიდიშოვა (10, ჩეხეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:1 6:4

როჯერ ფედერერისა და ტომი რობრედოს მეოთხედფინალის წინ მატს ვილანდერს ჟურნალისტები დაეკითხნენ, ესპანელს შვეიცარიელის დამარცხების რეცეპტს ხომ ვერ ასწავლიდითო. ლეგენდარულმა შვედმა თავიდან მხრები კი აიჩეჩა, მაგრამ მერე თქვა, რობრედოს ადგილზე ფედერერს წინა ღამით ბარში გამოვათრობდი, მერე კი მატჩის დაწყებამდე ბეისბოლის კეტს ერთი-ორჯერ მუხლებში ჩავცხებდი და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავიდოდი მასთან მოგების იმედითო.

ვილანდერმა, რა თქმა უნდა, იხუმრა, მაგრამ „მხიარული როჯერის" თამაშის შემხედვარე, შვედი არც ისე შორს უნდა იდგეს სიმართლისგან. არადა, ვერავინ იტყვის, ფედერერი უშეცდომოდ თამაშობსო — სულაც არა, თან ეტყობა, რომ საუკეთესო ფორმაში ჯერ მაინც არ არის. გუშინაც რობრედომ ოთხი ბრეიკი გააკეთა, რაც ესპანელს ხშირად მატჩის მოსაგებად ჰყოფნის, მაგრამ... მიუხედავად საკმაო ხარვეზებისა, დიდი ალპელი იმდენად ლამაზად, კომბინაციურად და ლაღად თამაშობს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფედერერი არ ერიდება შეცდომების დაშვებას უბრალოდ, იმდენად არის საკუთარ ძალებში დარწმუნებული, მუდმივი რისკის არ ეშინია. „მხიარული როჯერის" მიერ შესრულებულ ნებისმიერ, ყველაზე რთულ დარტყმაშიც ისეთი სიმსუბუქე იგრძნობა, მეტოქეებს ბრძოლის სურვილი უქრებათ.

გუშინ რობრედომ გმირულად იბრძოლა და ჰარდზე ალბათ თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ პირიხელს ერთი სეტი მაინც მოეგო.

კიდევ უფრო ადვილად გავიდა ნახევარფინალში ფედერერის მომავალი მეტოქე — ენდი როდიკს საათნახევარი ეყო თავისი კარგი მეგობრის მარდი ფიშის დასამარცხებლად. მარატ საფინთან და მარიო ანჩიჩთან ომგამოვლილ ამერიკელს კარგი ვარჯიში გამოუვიდა. ისე, როდიკისთვის ეს უცხო ამბავი სულაც არ ყოფილა — ფიში ხომ კარგა ხანს იყო ენდი-ბოის სპარინგ-პარტნიორი და ორი წელი სულაც მის ოჯახში ცხოვრობდა.

ასე რომ, ფიშმა მორიგი სამსახური გაუწია თავის ექსმეწყვილეს და ნახევრფინალისთვის კარგად მოამზადა. ენდი-ბოი გუშინ მართლაც შთამბეჭდავი იყო და თითქმის უშეცდომოდაც იჩოგნავა — მთელი შეხვედრის განმავლობაში რეკორდულად მცირე, ორი(!!!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. ნამატჩევს ფიშმა თქვა კიდეც, ენდი ასეთ ფორმაში არასოდეს მინახავსო.

თვითონ როდიკმა ამ გამარჯვებით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ფედერერის უმთავრეს მეტოქედ ტყუილად არ მიიჩნევდნენ. მართლაცდა, დღესდღეობით ალპელის მძლეველად იანკის გარდა არავინ მოჩანს. ეს ნახევრფინალი კი მეტად დაძაბულ და ლამაზ სანახაობას გვპირდება.

დამთავრდა ლამაზი ზღაპარი, სახელად ლუსი შაფაროვა — ამელი მორესმოს გამგდები 19 წლის ახალგაზრდა ჩეხს არ აცალეს, მოულოდნელად მოპოვებული დიდებით დამტკბარიყო. შაფაროვა თანამემამულემ, მასზე ორი წლით ახალგაზრდამ, მაგრამ დიდ ჩოგბურთში გაცილებით პოპულარულმა და გამოცდილმა ნიკოლ ვაიდიშოვამ დააბრუნა მიწაზე და ამისთვის ორი სეტიც იმყოფინა.

ვაიდიშოვამ აგერ უკვე მეორედ უწია სლემტურნირის ნახევარფინალს — თინეიჯერი ჩეხის ფინალში გასვლის პირველი ცდა შარშანდელ „როლან გაროსზე" წარუმატებელი გამოდგა და ნიკოლი ახლა ეცდება მაშინდელი შეცდომების გამოსწორებას. მეტოქედ კი მას სერენა უილიამსი ეყოლება.

დევქალა ამერიკელს შაჰარ პეერთან ძალიან გაუჭირდა — ნადია პეტროვასა და ელენა იანკოვიჩის დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ სერენასგან იმ ძველი თამაშის ხილვას ელოდნენ, როცა მისი გამჩერებელი არავინ იყო და აქა-იქ მხოლოდ უფროსი და, ვინუსი თუ შეჰბედავდა თანაბრად ბრძოლას. თუმც შავ-შავი და კარგად ჩასუქებული ამერიკელი იმ ფორმისგან ჯერაც ძალიან შორს არის და გუშინ ებრაელ ჩოგნის მქნეველს ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, ეგებ ნახევარფინალში თვითონ გასულიყო. პეერს ამ მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა აკლდა, როცა გადამწყვეტ სეტში 6:5-ზე აწოდებდა... მაგრამ ამერიკელის ბრძოლისუნარიანობაზე არაერთხელ გვითქვამს და სერენამ გუშინაც ამის ხარჯზე დაძლია ებრაული ბარიერი.

„დღეს ისე ვერ ვითამაშე, როგორც წინა შეხვედრებში. ცოტა დაღლილიც ვიყავი, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი მაინც მეტოქის კარგი თამაში იყო. ძალიან ბედნიერი ვარ, ამდენი უარყოფითი გარემოების მიუხედავად, რომ მაინც ვიმარჯვე" — განაცხადა უმცროსმა უილიამსმა.

**ქახა ლომაყშვილი**

## ბოლო გაჩერება: კონეჩნი

„მელბურნ-პარკის" კორტებზე მიმდინარე სეზონის პირველ სლემტურნირზე ორმა ჩვენებურმა სცადა ბედი და ორივემ წარუმატებლად — საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ქალთა საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა რუს თინეიჯერ ანასტასია პავლიუჩენკოვასთან, ხოლო ლაზარე კუხალაშვილი ჭაბუკთა ტურნირს მეორე წრეში დაემშვიდობა.

ლაზარეს მეტოქე თანატოლთა შორის მე-11 ნომრად განთესილი ჩეხი მიხალ კონეჩნი იყო, რომელმაც ჩვენებურს მხოლოდ ორი გეიმი დაანება — 6:1 6:1 კონეჩნის სასარგებლოდ და ამით წლევანდელი ქართული ავსტრალიობა უსახელოდ დასრულდა.



# მაკა ჩახნაშვილის იტალიური რეცეპტი

**შარშანდელ** სეზონში მაკა ჩახნაშვილმა ყველაზე დიდ წარმატებებს იტალიაში გამართულ ITF-ის ტურნირებზე მიაღწია — 50-ათასიანი შეჯიბრი მოიგო, ფინალშიც გავიდა და ამის წყალობით WTA-ს რეიტინგის მეორე ასეულის პირველ ნახევარში შეაღწია.

ახალი სეზონის სტარტზე წარუმატებელი ავსტრალიური ვოიაჟის შემდეგ მაკამ კვლავ იტალიას მიაშურა და კაპრიოლოს 25-ათასიან ტურნირზე წლეულს პირველი თამაში მოიგო.

კაპრიოლოში ჩახნაშვილი მე-3 ნომრად არის განთესილი და მას არ გასჭირვებია ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილი 29 წლის გერმანელის, კლასიფიკაციაში 380-ე ადგილზე მყოფი ანჯელიკა როეშის დამარცხება. 6:3 6:4 მაკას სასარგებლოდ და მეორე წრეში კი მისი მეტოქე 24 წლისა და რეიტინგში 234-ე საფეხურზე მდგომი ბრიტანელი ამანდა კინი იქნება, ვინაც პირველ წრეში სამსეტიანი თამაში 5:7 6:4 6:4 მოუგო კორტის მასპინძელ ანტონელა სერა-ძანეტის.

ამ კვირაში ჩახნაშვილის გარდა კიდევ ერთი ჩვენებური თამაშობს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე — ქართული კაცთა ჩოგბურთის მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე გასული კვირის მსგავსად ახლაც ავსტრიაშია და ზალცბურგის გარეუბან ბერგჰეიმის ჭერქვეშა ხალიჩაზე ცდის ძალებს.

ლადო ძირითად ბადეშია და მისი პირველი მეტოქე „ვაილ ქარდოსანი" მასპინძელი ფილიპ ჟელანეკი იქნება. თუ ჟელანეკს გაივლის, მეორე წრეში ქართველი ან კიდევ ერთ ავსტრიელ ჯერალდ კამიტცს შეხვდება, ანაც მეოთხე ნომრად განთესილ იტალიელ მარკო პედრინის.





# ელენე ვარშავაში

**გუშინ** პოლონეთის მთავარქალაქ ვარშავაში ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. პოლონურ ყინულზე ციგურები პირველებმა მოცეკვავეებმა და სპორტულმა წყვილებმა შედგეს. გუშინ მათი მოკლე პროგრამა იყო, ხვალ კი მედლებიც გათამაშდება.

ზეგ, 26 იანვარს, ჩვენი ელენე გედევანიშვილიც ისრიალებს. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც ვთქვათ: რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია ელენეს მშობლებსაც რომ შეეხო, ქართველი მოციგურავე მოსკოვიდან აიბარგა, შემოდგომა უქმად თბილისში გაატარა და ახლაღა, ნაახალწლევს, აშშ-ს ქალაქ რეინში განაახლა ვარჯიში.

ამის გათვალისწინებით, ამ ევროპის ჩემპიონატზე ელენესგან რაიმე სინჯის მედლის მოლოდინი ზედმეტია. შეგახსენებთ, რომ შარშან ელენე გედევანიშვილმა ევროპის ჩემპიონატზე მე-5, ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე მე-10, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-14 ადგილი დაიკავა.

**ბაჩო სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**მთავარი რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**პასუხისმგებელი რედაქტორი** კახა შალამბერიძე
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუგელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
**უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** პაპა ხუციშვილი
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** გიორგი ბერიკაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხვლია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00